თემა 9: ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფა, ბუღალტრული აღრიცხვა და დაბეგვრა ბიზნესში

მასალა ელექტრონული ფორმატით სწავლებისათვის. სილაბუსით გათვალისწინებული **თემა №9 (ნაწილი: პირველი და მეორე)**

თემის მასალა იხილეთ სახელმძღვანელოში: უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები (მეექვსე გამოცემა, გადამუშავებული, დამატებებით). თეორია, დედააზრი ჩანართით, პრაქტიკუმი, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თემატიკა. თბ. 2016. სილაბუსით გათვალისწინებული თემა №9 ის პირველი ნაწილი **გვ. 291-306; გვ. 397-399**. მეორე ნაწილი **გვ. 307-319; გვ. 399-400**.

9.1.ბიზნესში ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრა და მისი დაფინანსება;
9.2.ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები და სახეობები;
9.3.ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლები;
9.4.საწარმოს უზარალობის დონის განსაზღვრა;

9.5.ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტები ბიზნესში;

9.6.ბიზნესის საგადასახადო და საბაჟო დაბეგვრა საქართველოში.

ნაწილი პირველი

9.1.ბიზნესში ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრა და მისი დაფინანსება;
9.2.ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები და სახეობები;
9.3.ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლები;
9.4.საწარმოს უზარალობის დონის განსაზღვრა;

ამ თემის მიზანია

ძვირფასო პოტენციურო მენეჯერებო და მეწარმეებო! თუ გსურთ, რომ კომპანიაში (კერძო, სახელმწიფო, ეროვნული, საერთაშორისო, არასამთავრობო)

მნიშვნელოვანი ფიგურა იყოთ, მიზანშეწონილია ფლობდეთ ფინანსების საკითხების მართვის თანამედროვე ცოდნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში პრაგმატული გამოყების უნარ-ჩვევებს.

წინამდებარე თემის მიზანი სწორედ ამგვარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებაა!

9.1. ბიზნესში ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრა და მისი დაფინანსება

ხელოვნების მრავალი ნაწარმოების მსგავსად საწარმოც დასაწყისში ქაღალდზე იქმნება. ასე მაგალითად, დამწყებ მეწარმეს შეუძლია მიუჯდეს მაგიდას და ქაღალდზე შექმნას მცირე ქარხნის ბიზნეს–პროექტი, რომელიც გამოუშვებს მომხმარებელთათვის საჭიროა ელექტრონულ მოწყობილობას. თუმცა, იგი საკუთარ განზრახვას ვერანაირად ვერ აღასრულებს ფულის გარეშე. აი, ამიტომაა **მეწარმისათვის აუცილებელი იმის ცოდნა, თუ როგორ განსაზღვროს ფულად საშუალებებზე მოთხოვლინებანი და როგორ მოიზიდოს ისინი.**

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ახალი საწარმოს დაფინანსება ბევრი დამწყები მეწარმისათვის მძიმე განცდებისა და თავის ტკივილის მიზეზი ხდება. ეს აიხსნება იმით, რომ ისინი ჯეროვნად ვერ ფლობენ ფულად საშუალებებზე მოთხოვნილებების გონივრული შეფასებისა და მათი მოზიდვის წყაროების მოძიების უნარს.

ისმის კითხვა – როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემის გადაჭრა? – **მეწარმემ, ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების შეფასებამდე, კარგად უნდა იცოდეს კონკრეტულად რისი გაკეთება სურს.** სამწუხაროდ, ბევრმა ეს სათანადოდ არ იცის, იმიტომ რომ არ შეიმუშავებს ბიზნეს–გეგმას. ეს მაშინ, როდესაც ბიზნეს–გეგმის შედგენის პროცესში მეწარმეს შეუძლია კარგად გაიაზროს საკუთარი საქმის შექმნის მიზანი და მისი მიღწევის მთელი მექანიზმი, გააცნობიეროს შიშველი იდეებიდან კონკრეტულ მოქმედებებზე გადასვლის გზები.

მაშასადამე, ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ყველაზე რაციონალური წესი ბიზნეს-გემის შედგენაზე დაიყვანება, რომლის ცენტრალური რგოლია ხარჯთაღრიცხვის ნუსხა. "ნუსხა" ფირმის შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი საწარმოო, ორგანიზაციული, მარკეტინგული, იურიდიული და სხვა ოპერაციული გეგმების ტრანსფორმირებაა ფულად თანხაში. იგი ასახავს ფულად საშუალებებზე მოთხოვნილებას საწარმოს ფუნქციონირების დაწყებამდე და მას შემდეგ.

რასაკვირველია, ბიზნეს-გეგმის შედგენა მეწარმის მიერ კრედიტორებისა და ინვესტიორებისაგან საჭირო ფულადი საშუალებების მიღების გარანტია არ არის, მაგრამ იგი ზრდის ამის შანსს. **"ნუსხას" იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თანამედროვე პირობებში ბევრი კრედიტორი და ინვესტიორი ერიდება სახსრების გამოყოფას საკრედიტო განაცხადთან ერთად მისი წარდგენის გარეშე**. "ნუსხა" ეხმარება მეწარმეს არა მხოლოდ ფულის მოძრაბასთან

დაკავშირებული პრობლემების (ნაკლებობის ან სიჭარბის) გამოვლენაში, არამედ იმაშიც, რომ ზუსტი პასუხი გასცეს კრედიტორებს და ინვესტიორებს შემდეგ კითხვებზე:

- ფინანსური რესურსები რა მიზნით და რა ვადით (მოკლე, საშუალო და გრძელი ვადა) ესაჭიროება მეწარმეს?
- რა ოდენობის ფულადი საშუალებანი და როდის იქნება საჭირო?
- აუცილებელი ფულადი საშუალებების მოძიება მოხდება ფირმის შიგნით თუ საჭირო გახდება სხვა წყაროების გამონახვა, როგორი იქნება მათი თანაფარდობა?
- როდის და როგორ მოხდება ფულადი საშუალებების ხარჯვა და მათი ამოღება და შემოსავლების მიღება?
- როდის დაიფარება ვალი?

აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული მეწარმე ვალდებულია სათანადოდ ერკვეოდეს ფინანსურ მენეჯმენტში. ფინანსური მენეჯმენტი ემსახურება ბიზნესის ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების, მათი უზრუნველყოფის წყაროების, მიზნორიობის, ვადიანობის, დაბრუნების საშუალებებისა და გრაფიკის, სახსრების გონივრული ხარჯვისა და შემოსავლების მაქსიმიზების გზების განსაზღვრას; მოკლედ, **ფინანსური მენეჯმენტი ემსახურება ფულის მოზიდვას და ფირმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად მის ეფექტიან ინვესტირებას მოგების მისაღებად.**

ფულადი საშუალებანი ბიზნესისათვის იგივეა, რაც ცოცხალი ორგანიზმისათვის ჰაერი. ფულადი საშუალებების გარეშე შეუძლებელია არა მარტო ბიზნესის ზრდა–განვითარება, არამედ მისი წამოწყებაც კი. აქედან გამომდინარე, მეწარმე იძულებულია უზრუნველყოს თავისი საქმიანობა ამ მისთვის უმთავრესი ელემენტით.

მეწარმის მიერ საკუთარი საქმის წამოწყება–განვითარებისათვის ფულადი საშუალებების მოპოვება არის ბიზნესის დაფინანსება. სხვაგვარად: **ბიზნესის დაფინანსება–ეს არის სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებისა და მისი ზრდა–განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა**.

ბიზნესი ფინანსურ უზრუნველყოფას საჭიროებს, როგორც საწყის, ისე შემდგომ სტადიებზე. კერძოდ, საწყისი ანუ ე. წ. სასტარტო კაპიტალი საჭიროა სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შემუშავებისათვის, მისი რეგისტრაციისათვის, ლიცენზიისათვის, საწესდებო კაპიტალისათვის, საწარმოო და დამხმარე სათავსოების, ოფისის, ავეჯის, მოწყობილობის შესყიდვისა ან იჯარით აღებისათვის, საწყისი ნედლეულისა და მასალების შეძენისათვის, მუშაკთა ხელფასისათვის, რეკლამისათვის (სანამ ფირმა საკმარისად არ არის ცნობილი) და სხვა.

ფუნქციონირებადი ფირმები, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების (შემოსავლის) მიღებამდე, ასევე, საჭიროებენ საბრუნავ ფულად კაპიტალს ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ენერგიისა და ინფორმაციის შეძენაზე, მიღებული მომსახურებისა და ხელფასის გადახდაზე.

მაშასადამე, ბიზნესი მთელი პერიოდის განმალობაში საჭიროებს საბრუნავ (მიმდინარე) ფულად კაპიტალს შრომის ანაზღაურებისათვის,

ნედლეულისა და მასალების მარაგის შექმნის, გადასახადების გადახდისა და (ზედნადები) ხარჯების გაწევისათვის.

მეწარმეთა მოთხოვნილებები საფინანსო რესურსებზე იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან მოთხოვნილებებად. **გრძელვადიანი საფინანსო რესურსები** საჭიროა ხანგძლივი დროის განმავლობაში და ხშირად დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის (მანქანა–დანადგარების, ფაბრიკა–ქარხნების, შენობებისა და სხვა), ასევე, ახალი მოწყობილობის პატენტის გამოყენების უფლების შეძენასთან. **ძირითადი კაპიტალია ის რესურსები, რომელსაც მეწარმე იყენებს ერთ წელზე მეტ ხანს**.

მოკლევადიანი საფინანსო რესურსები საჭიროა მიმდინარე ოპერაციების განსახორციელებლად და დაკავშირებულია საბრუნავი საშუალებების ხარჯებთან. **ძირითადი კაპიტალისაგან განსხვავებით, საბრუნავი საშუალებანი არის რესურსები, რომელთა გამოყენების ვადა არ აღემატება ერთ წელიწადს**.

მას შემდეგ, რაც მეწარმე განსაზღვრავს, რა მიზნით, რა ვადით და რა რაოდენობის ფულადი საშუალებები ესაჭირეობა მას თავისი საქმის დასაფინანსებლად, იგი იწყებს დაფინანსების წყაროების ძიებას.

9.2. ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები და სახეობები

ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების შეფასების შემდებ მეწარმემ უნდა გადაწყვიტოს საშუალებების რა ნაწილი შემოუვა ინვესტიორებისაგან, როგორც კომპანიის საკუთარი კაპიტალი და რამდენი – კრედიტორებისაგან, როგორც ნასესხი კაპიტალი. ყველაფერი ეს მოითხოვს საფუძვლიანად ერკვეოდეთ ბიზნესის დაფინანსების წყაროებში. არსებობს ბიზნესის დაფინანსების ორი – შიდა და გარე წყარო. **შიდა წყაროში მოიაზრება ის შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია ფირმის საქმიანობის და მისი საკუთარი ქონების გაყიდვა–გაიჯარების შედეგებთან. ესენია:**

1. ფირმის საკუთარი სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავალი;
2. ამორტიზაციის ფონდი;
3. საკუთარი ქონების რეალიზაციიდან და იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

გარე წყაროში შედის:

1. პირადი და ოჯახის წევრების დანაზოგები;
2. კრედიტი (ამ შემთხვევაში ხდება ბიზნესის ვალით დაფინანსება);
3. ფირმის მიერ აქციების გაყიდვა (კორპორაციის შემთხვევაში) ან ფირმის პოტენციურ მფლობელთაგან დამატებითი სახსრების მოზიდვა (ერთპიროვნული მფლობელობისა და პარტნიორობის შემთხვევაში). ამ ორივე შემთხვევაში ფულის ინვესტიორები (დამბანდებლები), კრედიტორებისაგან განსხვავებით, ფირმის ნაწილობრივი მფლობელებიც გახდებიან;
4. უნაცვალგებო (მუქთა) დაფინანსება;

ვინაიდან ფირმის ფინანსური სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი (60-70%) შემოდის შიდა წყაროებიდან, ამდენად, თავდაპირველად ჩვენც მას განვიხილავთ.

1. ბიზნესის დაფინანსების ყველაზე დიდი შიდა წყაროა ფირმის საკუთარი სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავალი ანუ გარკვეულ პერიოდში საქონლისა და მომსახურების რეალიზებიდან ამონაგები (ნავაჭრი). ამ შემოსავლის **ერთი ნაწილი** ხმარდება საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების ანუ პროდუქციის თვითღირებულების დაფინანსებას, ხოლო **მეორე ნაწილი – წმინდა მოგება**, დარჩენილი მეწარმის (პარტნიორების) განკარგულებაში მოგებიდან გადასახადის გადახდის შემდეგ, შეიძლება განაწილდეს მთლიანად პარტნიორებს შორის, ან მთლიანად მოხმარდეს ბიზნესის შემდგომ განვითარებას. თუმცა, ორივე ეს გადაწყვეტილება მცდარი იქნება, ვინაიდან პირველ შემთხვევაში დაზარალდება ფირმა, ხოლო მეორე შემთხვევაში – მისი პარტნიორები. აქედან გამომდინარე, ფირმის ხელმძღვანელობამ უნდა მოახერხოს ამ თანხის ოპტიმალური განაწილება ისე რომ, **ჯერ ერთი,** პარტნიორებმა მიიღონ გარკვეული შემოსავალი და**, მეორე,** მოგების დარჩენილი, გაუნაწილებელი სახსრებით მოხერხდეს საქმის შემდგომი განვითარება ანუ **მოხდეს გაუნაწილებელი მოგების არა ამოღება, არამედ მისი ისევ საქმეში დაბანდება ანუ რეინვესტირება**;

2. ამორტიზაციის ფონდი – ეს არის ის თანხა, რომელიც ხმარდება ძირითადი კაპიტალის შეკეთება-აღდგენას, რისი აუცილებლობაც წარმოიშობა მათი ცვეთის კვალობაზე. როგორც ყველაფერი, ისე ძირითადი კაპიტალი დროებითია. მას აქვს ექსპლოატაციის გარკვეული ვადა. მაგალითად, თუ დაზგის ექსპლუატაციის ვადა 10 წელია და ის ღირს 10 000 ლარი, მაშინ ყოველწლიურად ამ დაზგის მეათედი ნაწილი ცვდება და შესაბამისი ღირებულება, ანუ 1 000 ლარი, გადადის შესაქმნელ პროდუქტში. ხოლო ამ პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ ხსენებული ამორტიზაციის ანარიცხები გროვდება ამორტიზაციის ფონდში. აქედან გომომდინარე, ჩვენს მაგალითზე, პირველ წელს ამ ფონდში დაგროვდება 1 000 ლარი, მეორე წელს – 2 000 და ა.შ. ხოლო მის სრულ ამორტიზირებას დასჭირდება 10 წელი. **სანამ ძირითადი კაპიტალი სრულად არ გამოისყიდის თავის თავს, მეწარმეს ამ ამორტიზაციის ფონდის გამოყენება შეუძლია ბიზნესის დაფინანსებისათვის**.

3. საკუთარი ქონების რეალიზაციიდან და იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

ამჟამად, პოსტსაბჭოურ საქართველოში, ძალინ ბევრ საწარმოს გააჩნია ჭარბი მიწის ნაკვეთი, ან სხვა კაპიტალი რომელთა გაყიდვითა და გაქირავებით მათ შეუძლიათ მიიღონ შემოსავალი, რაც წარმოადგენს ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთ შიგა წყაროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზნესის დაფინანსების შიგა წყაროების გარდა **არსებობს გარე წყაროებიც, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია ყველაზე წარმატებული ბიზნესმენებისათვისაც კი. ეს წყაროებია:**

1. **პირადი და ოჯახის წევრების დანაზოგები.** ბუნებრივია, ყველაზე მარტივი და საიმედო წყაროა საკუთარი საშუალებანი (პირადი და ოჯახის წევრების დანაზოგი). ამ შემთხვევაში მცირე ბიზნესის დაწყება ხდება დაუყონებლივ, ამასთან, შესაძლებელია თანდათანობით დაგროვილი იქნას გამოცდილება და საშუალებანი მისი გაფართოებისათვის.

თუმცა, სრულიადაც არა არის აუცილებელი საქმე აწარმოოთ მარტომ, ერთპიროვნულად. შესაძლებელია მოიზიდოთ პარტნიორები, რომლებიც გახდებიან საწარმოს თანამფლობელნი და ექნებათ უფლება მონაწილეობა მიიღონ მის მართვაში. პარტნიორებს შეეძლებათ საქმეში შეიტანონ ფულადი შენატანი, თავიანთი ცოდნა–გამოცდილება, ან გარკვეული ფასეულობანი, მაგალითად, შენობა ან მოწყობილობა.

აყალიბებთ რა საწარმოს პარტნიორებთან ერთად, აუცილებელია მათთან ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმება შენატანების ოდენობასთან, უფლებებთან და ვალდებულებებთან, ასევე, მოცემული ბიზნესის საბოლოო მიზანთან დაკავშირებით. ოღონდ მნიშვნელოვანია, ის რომ შეირჩეს თქვენი იდეის გამზიარებელი და საიმედო ადამიანები. ბიზნესის განვითარების კვალობაზე, საკუთარი წყაროების სახით შესაძლებელია გამოყენებული იქნას მოგება, ამორტიზაციის ფონდი, აქციების რეალიზებიდან შემოსავალი (აქციონერული საზოგადოებისათვის), საწარმოს აქტივები, ასევე, დებიტორული დავალიანებანი.

საკუთარისაგან განსხვავებით, ნასესხი საშუალებანი დაბრუნებას ექვემდებარება. მცირე ბიზნესისათვის ნასესხი საშუალებების ერთ-ერთი გავრცელებული წყაროა ნათესავებისა და მეგობრების საშუალებანი. ფულადი დავებისა და ამის საფუძველზე ურთიერთობების გაუარესების თავიდან აცილებისათვის უკეთესია ეს ფაქტი დაფიქსირდეს ხელშეკრულებაში.

თუ ბიზნესის დაწყებისა ან გაძღოლისათვის საჭიროა მსხვილი თანხა, მაშინ შეგიძლიათ მიმართოთ კრედიტს.

2. **კრედიტი** – ეს არის ფულის სესხად გაცემა დაბრუნებადობის, ვადიანობის, მიზნობრიობისა და სარგებლის გადახდის პირობით. პროცენტი (სარგებელი) არის კრედიტით სარგებლობის საფასური. განასხვავებენ ნატურალურ (კომერციულ და ქონებრივ) და ფულად კრედიტს.

კრედიტის ამოსავალი ისტორიული ფორმაა ნატურალური კრედიტი. **კომერციული კრედიტი** კი სავაჭრო კრედიტია, რომელიც გულისხმობს საქონლის შეძენას საფასურის გადახდის გადავადებით. სხვაგვარად, **კომერციული კრედიტი** არის გამყიდველისათვის დღევანდელი ნავაჭრის საფასურის მყიდველის მიერ მომავალში გადახდა. ეს იგივეა, რაც საქონლის ღირებულების თანაბარი თანხის ვალის აღება გამყიდველისაგან. მეწარმე, რომელიც იძენს საქონელს, მყიდველთან დადებული კონტრაქტის (თამასუქის) თანახმად, იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მას მიღებული საქონლის ღირებულება და სავაჭრო კრედიტის პროცენტი დათქმულ ვადაში. მაგალითად, საბურავების მაღაზიის გახსნის შემთხვევაში გაქვთ შესაძლებლობა დაარწმუნოთ მომწოდებელი მოგცეთ 30 დღიანი კომერციული კრედიტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მეწარმემ თავის ვალი უნდა დაფაროს საბურავების მიღებიდან 30 დღის შემდეგ. თუ მეწარმე თავის მარაგებს გაყიდის ერთ თვეში, მაშინ მას პრაქტიკულად არ მოუწევს საბურავების შესაძენად საკუთარი საშუალებების დახარჯვა. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში მომწოდებლის რისკი მინიმალურია. საქონლის გაუყიდველობის შემთხვევაში ის შეიძლება დაუბრუნდეს მომწოდებელს.

კომერციული კრედიტიდან საქონლის **გამყიდველი (მწარმოებელი) იგებს** იმით, რომ აჩქარებს საქონელბრუნვას, ყიდის უფრო მეტ საქონელს და ამით ზრდის თავის მოგებას. **მყიდველი კი იძენს საჭირო საქონელს იმაზე ადრე, ვიდრე დააგროვებს აუცილებელ სახსრებს შესყიდვისათვის, რაც ასევე აძლევს მას სარგებელს.** ასეთი სახის კრედიტის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტორსა და მოვალეს შორის პირად ურთიერთობებს. კომერციული კრედიტით უპირატესად სარგებლობენ საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციები, თუმცა, არ არის გამორიცხული მისი გამოყენება საცალო სავაჭრო ორგანიზაციების მიერაც.

დღესდღეობით ბიზნესის დაფინანსების ყველაზე ფართოდ გავრცელებული წყაროა ფულადი კრედიტი. ფულადი კრედიტი შეიძლება იყოს: **მოკლევადიანი** (ერთ წლამდე ვადით), **საშუალო ვადიანი** (ერთიდან ხუთ წლამდე) და **გრძელვადიანი** (ხუთ წელზე მეტი ვადით).

ბანკები და სხვა კრედიტორები **მოკლევადიან კრედიტს გასცემენ** სასაქონლო-მატერიალური მარაგის შესაძენად, ხელფასის გასაცემად, მზა პროდუქციის გასყიდად და ა. შ. ასეთი კრედიტი არსებითად თვითანაზღარებადია, რადგან უზრუნველყოფილია მარაგის რეალიზაციის გზით ფულის მიღებით.

საშუალო და გრძელვადიანი კრედიტი გაიცემა ფაბრიკა-ქარხნების, დაზგა–დანადგარების, მოწყობილობების შეძენისათვის და სხვა. მეწარმე აღებული კრედიტის დაბრუნებას, როგორც წესი, ახდენს მოგებით. მაგრამ არსებობს გარკვეული საშიშროება იმისა, რომ კომერციული წარუმატებლობის შემთხვევაში ვერ დაბრუნდეს სესხი. სწორედ ამიტომ მსესხებლისაგან ბანკები მოითხოვენ სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალებას: გირაოს, თავმდებისაგან საგარანტიო ვალდებულებას ხემოწერით და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **კრედიტი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი, ანუ საბლანკე**.

უზრუნველყოფილია კრედიტი, რომლის დაბრუნებაც უზრუნველყოფილია დაგირავებული მატერიალური ფასეულობებით. **გირაო** არის ქონება, მიცემული გირაოდ კრედიტორისათვის, რათა მისგან მიღებული იქნას სესხი. თუ მსესხებელს არ შეუძლია სესხის დაფარვა, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს დაეუფლოს ქონებას ან გაყიდოს იგი, რათა აინაზღაუროს გაცემული სესხი პროცენტითურთ. **არაუზრუნველყოფილია კრედიტი,** რომელიც გაცემულია ყოველგვარი მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე. ამგვარი სესხი იშვიათია და გაიცემა მაღალი კრედიტუნარიანობისა და რეპუტაციის მქონე მსესხებლებზე.

უზრუნველყოფილი კრედიტის სახეობებია: საიპოთეკო და სალომბარდო კრედიტი, სესხი საგარანტიო წერილით და სხვა. აქედან პირველი გაიცემა უძრავი ქონების გირაოს, ხოლო მეორე, სალომბარდო კრედიტი – მოძრავი ფასეულობების ქვეშ. გარანტიის შემთხვევაში მსესხებელი ბანკისაგან კრედიტს იღებს საგარანტიო წერილის საფუძველზე. საგარანტიო წერილის მიმცემი (ფინანსურად ძლიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირი) ვალდებულებას კისრულობს მსესხებლის მიერ სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში მან დაფაროს დავალიანება.

საიპოთეკო (იპოთეკური) კრედიტის მაგალითია, სესხი, რომელიც მიიღება მიწის ფართის ან სახლის გირაოს ქვეშ, ხოლო **სალომბარდო კრედიტის მაგალითია** სესხი, რომელიც გაიცემა სამკაულის ან სხვა საგნის დაგირავებით.

საბანკო კრედიტის ერთ–ერთი ფორმაა **ოვერდრაფტი**, რომლის დროსაც ბანკი ნებას რთავს ფირმას დახარჯოს მის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებულ თანხაზე მეტი საბანკო პროცენტის გადახდით. ასეთ სიტუაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მყიდველები დროულად არ იხდიან საწარმოს მიერ მიწოდებული საქონლის საფასურს ანუ როცა დროულად არ ხდება დებიტორული დავალიანების დაფარვა. ოვერდაფტი გამოიყენება საიმედო, კარგი რეპუტაციის მსესხებლების მიმართ. ოვერდრაფტის მსგავსად კონტოკორენტული ანგარიშიდან გაცემული სესხიც (კონტოკორენტული კრედიტიც) არაუზრუნველყოფილი, საბლანკე კრედიტია.

ბანკი ზოგიერთი კლიენტისათვის არ ხსნის სასესხო ანგარიშს მასზე სესხის გასაცემად. მათთვის ბანკი აწარმოებს განსაკუთრებულ კონტოკორენტულ ანგარიშს, რომელიც თავის თავში აერთიანებს კლიენტის როგორც საანგარიშსწორებო, ისე სასესხო ანგარიშს. ამ ერთიან ანგარიშზე აისახება კლიენტის როგორც საკუთარი, ისე ნასესხი საშუალებების მოძრაობა. ბანკისათვის კონტოკორენტული ანგარიშის წარმოება უფრო ძნელია და ამიტომ კლიენტს, როგორც წესი, უფრო ძვირი უჯდება. **ამგვარი ანგარიშის გამოყენებით გაცემული სესხი, არის კონტოკორენტული კრედიტი**.

ბანკი ზოგ საიმედო და აკურატულ კლიენტს უხსნის საკრედიტო ხაზს. **საკრედიტო ხაზი** არის ბანკის თანხმობა კლიენტს შემდგომში მისცეს სესხი იმ ფარგლებში, რაც არ აღემატება წინათ შეთანხმებულს, დამატებითი მოლაპარაკების წარმოების გარეშე.

ბოლო პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა ლიზინგმა. **ლიზინგი** არის მეწარმეთა მოთხოვნების საფუძველზე ბანკის მიერ ძირითადი კაპიტალის შეძენა და მათზე გადაცემა გარკვეული ვადით და ქირის გადახდევინებით. საბანკო პრაქტიკაში გამოიყენება ფაქტორინგიც. **ფაქტორინგი** არის ოპერაცია, რომლის დროსაც ბანკი კისრულობს თავის კლიენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირის სავალო ვალდებულებების ნაწილობრივ (70-90%) დაფარვას საკომისიოს მიღებით.

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ბანკები კრედიტის გაცემისათვის მსესხებელი მეწარმისაგან მოითხოვენ:

მათი ბიზნესი იყოს რეგისტრირებული; ბიზნესში ჩადებულ ყოველ ნასესხ ერთ ლარზე მოდიოდეს ერთი ლარი საკუთარი საშუალებებიდან. ასეთი მიდგომა გამომდინარეობს იქიდან, რომ საწარმოს ზარალის შემთხვევაში, პირველი დარტყმა სწორედ ინვესტიორების საშუალებებზე მოვიდეს. ამიტომ, რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება ეს საშუალებები, მით მაღალი იქნება ბანკის კუთვნილი სახსრების უკან დაბრუნების ალბათობა. ე.ი. მოვლენების არაკეთილსასურველი განვითარების შემთხვევაში ბანკს სწორედ ინვესტიორთა საშუალებები იცავენ; **მსესხებელი სარგებლობდეს კეთილსინდისიერი, საიმედო გადამხდელის რეპუტაციით; მას გააჩნდეს შემოსავალი (მოგება), მატერიალური და არა მატერიალური აქტივები და სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელი ბიზნეს–გეგმა**.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დაკრედიტების მექანიზმი, ეტაპების მიხედვით, ასე გამოიყურება:

ა) ბანკში სესხის მიღებისათვის შევსებული სტანდარტული საკრედიტო განაცხადისა და აუცილებელ თანმხლები დოკუმენტების წარდგენა.

საკრედიტო განაცხადი მოიცავს: ზოგად ინფორმაციას მეწარმისა და მისი ბიზნესის შესახებ; სესხის გამოყენების მიზანს; სესხის სახეობას; სესხის დაფარვის პირობებს; სესხის საჭიროებას და სესხის გამოყენებით მიღებულ ეფექტს; მფლობელებს (ყველა მესაკუთრეს, რომელიც კომპანიის 5%-ზე მეტს ფლობს), მენეჯმენტს (დირექტორებს) და საქმიანობის აღწერას; კომპანიის იურიდიულ სტატუსს; სესხის უზრუნველყოფის წყაროებსა და მსესხებლის საკრედიტო ისტორიას.

შევსებულ საკრედიტო განაცხადდთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას:

- კომპანიის დაფუძნებისა და მისი საქმიანობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები (კომპანიის რეგისტრაციის დოკუმენტი, წესდება, საქმიანობის წარმოებაზე შესაბამისი ლიცენზიები და ნებართვები, დოკუმენტი წესდებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, უფლებამოსილი პირის დანიშვნის ან არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა);
- პროექტის დოკუმენტაცია (ბიუჯეტი, აუდიტორული შემოწმების ანგარიში, ხელშეკრულებები იჯარით გაცემაზე და სესხით დასაფინასებელი პროექტის ბიზნეს–გეგმა);
- უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტები (სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს იპოთეკით დატვირთულ/ დაგირავებულ ქონებაზე მესაკუთრეობის უფლებას, უზრუნველყოფის სადაზღვევო პოლისი, საგარანტიო ხელშეკრულება);
- საკრედიტო ისტორიის ამსახველი დოკუმენტები (საკრედიტო ხელშეკრულებები, ამონაწერები ანგარიშიდან, რომელიც ადასტურებს სესხის დასაფარავად შეტანილ გადასახდელებს);
- დავალიანების ამსახველი დოკუმენტები (საგადასახადო ინსპექციიდან–დოკუმენტები ბიუჯეტში გადასახდელი დავალიანების შესახებ, გაცემული სესხების სერთიფიკატი, დამოწმებული ყველა იმ ბანკის მიერ, რომელიც აწარმოებს მომსახურებას და საკრედიტო ხელშეკრულებების ასლები);
- ოფიციალური ფინასური ანგარიშები (საგადასახადო დეპარტამენტის მიერ დამოწმებული ბალანსი უახლოესი საანგარიშგებო პეროდისათვის, საგადასახადო დეპარტამენტის მიერ დამოწმებული მოგება–ზარალის ანგარიში უახლოესი საანგარიშგებო პერიოდისათვის, ამონაწერი საბანკო ანგარიშებიდან 3–დან 12–თვემდე პერიოდისათვის);
- შიდა ფინანსური დოკუმენტაცია (მიმდინარე საბუღალტრო ბალანსი, საბრუნავი სახსრების ანგარიში ბოლო 6–12 თვისათვის, მოგება-ზარალის ანგარიში ბოლო 6–12 თვისათვის, ინვენტარიზაცია, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დეტალური ანგარიში);

- ერთპიროვნული მესაკუთრე (პასპორტის ასლი, ერთპიროვნულ მესაკუთრედ რეგისტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ლიცენზიების, პატენტებისა და ნებართვების ასლები, ბოლო 12 თვისთვის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული საბუთები, ანგარიშ–ფაქტურები, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები, შეთანხმებები, საიჯარო ხელშეკრულებებისა და მესაკუთრეობის დამადასტურებელი საბუთების ასლები).

ბ) მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება. კრედიტუნარიანობის ქვეშ იგულისხმება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე მისი უნარი და მზადყოფნა დაფაროს სესხი სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად. არსებობს სესხის დაფარვის ოთხი წყარო: ა) შემოსავალი; ბ) აქტივების გაყიდვიდან შემოსავალი; გ) აქციების გაყიდვიდან შემოსავალი; დ) სხვა კრედიტორებისაგან აღებული სესხი.

გ) საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, რომელშიც მითითებულია: კრედიტის სახე, თანხის სიდიდე და ვადა, სესხის დაფარვის წესი, კრედიტის უზრუნველყოფის სახე და მსესხებელზე კრედიტის გადაცემის ფორმა.

დ) კრედიტის გაცემა. ბანკი მსესხებელს უხსნის სასესხო ანგარიშს, სადაც აისახება მასზე მიცემული კრედიტის თანხის ხარჯვა და დაფარვა.

ე) კრედიტის გამოყენებაზე და დაბრუნებაზე კონტროლი.

ამგვარად, დაკრედიტების ეტაპებიდან გამომდინარე, კრედიტორი ბანკი, სესხის გაცემამდე და შემდგომშიც, რეგულარულად აანალიზებს მსესხებლის აქტივებსა და შემოსავლებს. იგი თვალყურს ადევნებს ფირმის იმ საქმიანობას, რომელშიც დაბანდებულია მისი კრედიტი. ხოლო, რაც შეეხება მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, როდესაც ისინი გირაოს როლშია, ბანკი სწავლობს მათ **მისაღებობას (რეალიზაციის სიწრაფე, ფასების შედარებითი სტაბილურობა, შენახვის ხნგრძლივობა),** ლიკვიდურობას, რომ იოლად და უდანაკარგოდ შეიძლებოდეს მათი გაყიდვა და ფულად ქცევა. ასევე, **საკმარისობას,** რომ აქტივების ფულადი გამოხატულება აღემატებოდეს კრედიტის მოცულობას, რათა მოულოდნელი გაუფასურების პირობებშიც კი ბანკს შეეძლოს მათი გასაღება და ამით კრედიტის მოცულობის დაფარვა.

მაშასადამე, ბანკი მიმართავს ყოველგვარ ზომას, რათა საკრედიტო რისკის, ანუ სესხის (თავნის) და მასზე დარიცხული პროცენტის დაუბრუნებლობა მინიმუმამდე დაიყვანოს, რაც კომერციული პრინციპებიდან გამომდინარე სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

3. ფირმის მიერ აქციების და ობლიგაციების გამოშვება ინვესტიორებისაგან ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით.

აქციონერული საზოგადოებები (კორპორაციები) გარე სახსრების მოზიდვის მთავარ გზად მიიჩნევენ აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას. აქციები და ობლიგაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შემდეგი თვისებებით:

- აქციები მათ მფლობელებს აქციონერული საზოგადოების თანამესაკუთრის უფლებას აძლევს და, ამავე დროს, მათ უფლება აქვთ მიიღონ საზოადოების მოგების წილი დივიდენდის სახით;

- ობლიგაციის მყიდველი თანამესაკუთრე კი არ ხდება, არამედ აქციონერულ საზოგადოებას უბრალოდ სესხს სთავაზობს და გამოდის კრედიტორის როლში. ობლიგაცია – ეს მხოლოდ მოწმობაა, რომელიც სესხის ფაქტს ადასტურებს და რომლის თანახმადაც აქციონერული საზოგადოება ვალდებულებას კისრულობს ობლიგაციით გათვალისწინებული მთელი თანხა გადაუხადოს მის მფლობელს სესხის ვადის გასვლისთანავე. ამავდროულად, იგი ვალდებულია ყოველწლიურად უხადოს მას სარგებელი წინასწარ დადგენილი გრაფიკისა და განაკვეთის მიხედვით.
- აქციებთან შედარებით ობლიგაციები ნაკლებადაა დაკავშირებული რისკთან, ვინაიდან მათ მფლობელებს ენიჭებათ გარკვეული უპირატესობა აქციონერებთან შედარებით, ისინი ფირმის ლიკვიდაციის შემთხვევაშიც კი მიიღებენ სარგებელს.
- ობლიგაცია სასურველია კომპანიისთვის, ვინაიდან სარგებელი, როგორც წესი, დაბალია, ვიდრე სხვა სახეობის სესხის აღებისას. ამავე დროს ობლიგაციებზე გადახდილი სარგებელი არ ექვემდებარება დაბეგვრას.

არსებობს აქციების ორი ტიპი: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული.

ჩვეულებრივი აქციების მეპატრონეებს აქვთ: დივიდენდების მიღებისა და მართვაში მონაწილეობის უფლება. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დირექტორთა საბჭოს არჩევნებში და იქონიონ ხმათა პროცენტული რაოდენობა მათ ხელთ არსებული აქციების რაოდენობის პირდაპირპროპორციულად; კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების წილის მიღების უფლება; საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ინსპექტირების უფლება; ახლად გამოშვებული აქციების უპირატესად შეძენის უფლება.

პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქციონერთა კრებაზე ხმის უფლება არა აქვთ, მაგრამ ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, ვინაიდან დივიდენდს იღებენ იქამდე, სანამ მისი გაცემა დაიწყება ჩვეულებრივ აქციებზე, ხოლო კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში ისინი პირველები იღებენ საკუთრების უფლებას აქტივების წილზე.

იმისათვის, რომ ფირმამ აქციების გამოშვებისთ სასურველ შედეგს მიაღწიოს, ანუ გაყიდოს ისინი მაღალ ფასად და დიდი რაოდენობით, მან უნდა შეძლოს საფონდო ბირჟაზე გარკვეული წარმატების მიღწევა. ამ უკანასკნელის განხორციელება კი შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდებით, კერძოდ: ფირმას შეუძლია შეიმუშაოს მიმზიდველი საემისიო პროსპექტი; იყოს მოგებიანი; მოძებნოს ისეთი ინვესტორი, რომელიც შეიძენს მის აქციებს და გაყიდის მოსახლეობაში ან სხვა ფირმებზე.

არსებობს საინვესტიციო ბანკებად წოდებული ფირმები, რომლებიც სპეციალდებიან ფასიანი ქაღალდების გარანტირებულ გაყიდვაზე, ანუ ისინი კისრულობენ ვალდებულებას, გაყიდონ კლიენტის აქციები მასთან შეთანხმებულ ფასში.

ობლიგაციების გამოშვებასაც შეიძლება მიეცეს ლატარიის სახე, რაც დააინტერესებს მათ მყიდველებს და გაყიდვაც უფრო მომგებიანი ხდება.

4. **სუბსიდირება, ანუ უნაცვალგებო (მუქთი) დაფინანსება ბიუჯეტიდან**. ასეთი სუბსიდიები გაიცემა სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის იმ სახეობებზე და ფორმებზე, რომელთა განვითარებითაც თავად სახელმწიფოა დაინტერესებული. **სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის უნაცვალგებო დაფინასება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი ფულადი დახმარების, ან ფულადი დოტაციის სახით**. მაგალითად, თუ სახელმწიფოს სურს დამატებით დააფინასოს ფერმერები, მათგან პროდუქციას იძენს საბაზროზე მაღალ ფასებში.

მეწარმეობის ირიბი სახელმწიფოებრივი დაფინანსების ფორმად შეიძლება ჩაითვალოს საგადასახაო შეღავათების დაწესება, ვთქვათ, ფერმერებისათვის. სამეწარმეო ფირმების დაფინანსებას აუმჯობესებს, ასევე, პროდუქციის წარმოებაზე შეკვეთების გაცემა, რომლის განაღდებაც ბიუჯეტიდან ხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში დაფინასების წყარო ხდება პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალი.

ამგვარად, ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების შეფასების შემდეგ, მეწარმემ უნდა განსაზღვროს, რა ნაწილი დააფინანსოს თვითონ, რა ნაწილი მოიზიდოს ინვესტიორებისაგან (აქციონერული კაპიტალი), რა ნაწილი კრედიტორებისაგან (ნასესხი კაპიტალი) და ამის შემდეგ მიიღოს გადაწტვეტილება აუცილებელი კაპიტალის მობილიზაციის წესების თაობაზე.

უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან გარკვეული ვადით აღებული სესხი და სააქციო კაპიტალი (საინვესტიციო) კაპიტალი. მეწარმისათვის ბევრად უსაფრთხოა ახალი საწარმოს დაფინანსება უპირატესად ინვესტიორების და არა კრედიტორების საშუალებებით, რადგანაც სესხი (ვალი) მკაცრ ვალდებულებებთანაა დაკავშირებული. პრაქტიკულად ნებისმიერი კრედიტი დაფარვას საჭიროებს განსაზღვრული გრაფიკით და თანაც არა მხოლოდ თავნის დაბრუნებას, არამედ პროცენტის გადახდასაც. ამ ორადი ვალდებულების შეუსრულებლობამ კი შესაძლოა განაპირობოს საწარმოს გაკოტრბება.

ინვესტიორებისაგან მოზიდული სააქციო კაპიტალი, კრედიტისაგან განსხვავებით, უკან არ ბრუნდება. ეს ფული წარმოიქმნება ბიზნესის ნაწილის (აქციების) გაყიდვის სანაცვლოდ. ინვესტიორები აქციებს ყიდულობენ საკუთარი საფრთხით და რისკით. ისინი უფრო დაინტერესებული არიან პოტენციური მოგებით, ვიდრე თავიანთი დაბანდებული სახსრების სწრაფი დაბრუნებით (ხატოვნად, ისინი დაინტერესებულნი არიან ხვალინდელი ქათმით და არა დღევანდელი კვერცხით). აქციების პირველადი მეპატრონეები შემდგომში თუ გადაწყვეტენ კუთვნილი აქციების გაყიდვას, მათ უფლება არა აქვთ აიძულონ მეწარმე გამოისყიდოს ისინი უკან. ინვესტიორებმა დამოუკიდებლივ უნდა მოძებნონ თავიანთი აქციების მყიდველნი. აქციონერებს, ასევე, ყოველთვის არა აქვთ საშუალება მიიღონ მოგება თავიანთ ინვესტიციებზე, უკიდურეს შემთხვევაში, იქამდე, ვიდრე საწარმო არ დაიწყებს მოგების მიღებას და არ გამოაცხადებს დივიდენდების გადახდის შესახებ.

ამგვარად, მკაცრად ფორმულირებული ფინანსური ვალდებულების უქონლობა, ინვესტიორის ფულს მეწარმისათვის უფრო მიმზიდველს ხდის. თუმცა, ზოგიერთი მეწარმე ცდილობს იოლად გავიდეს ინვესტიორების საშუალებების გარეშეც და საწარმოში ჩადოს მხოლოდ საკუთარი ფული.

კრედიტორები დიდ ყურადღებას უთმობენ მსესხებელი საწარმოს ლიკვიდურობას ანუ გადახდისუნარიანობას, რისთვისაც ისინი სხვადასხვა ფინანსურ–ეკონომიურ მაჩვენებლებს იყენებენ.

9.3. ფირმის ფინანსურ–ეკონომიური მდგომარეობის მაჩვენებლები

ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს: მომგებიანობა, საერთო და ფაქტორული ეფექტიანობა, ფირმის ლიკვიდურობა, მდგრადობა და ა.შ.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

მოგება – ეს არის სხვაობა ფირმის მთლიან შემოსავლებსა და მთლიან ხარჯებს შორის. არსებობს მოგების მიღების ორი გზა: ა) ფასების უცვლელობის პირობებში ხარჯების შემცირება (ეს გზა მიზანშეწონილია კონკურენციულ გარემოში. ამგვარ გარემოში ეკონომიკა ეფექტიანია, რადგანაც საწარმოები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხარჯების შემცირებაში); ბ) ხარჯების უცვლელობის პირობებში ფასების ზრდა (ამ გზით მოგების მიღება გამართლებულია, როცა საწარმო მონოპილიურ მდგონმარეობაშია. ამ დროს ეკონომიკა არაეფექტიანია, ვინაიდან საწარმოები არ ცდილობენ ხარჯების შემცირებას). **ნულოვანი მოგების ან ზარალის შემთხვევაში, ფირმას არ გააჩნია განვითარების წყარო და შეიძლება გაკოტრდეს**.

თუმცა, საწარმოს მხოლოდ მომგებიანობა არ იძლევა მისი ეფექტიანობის შესახებ სრულ წარმოდგენას. ვინაიდან, შეიძლება ერთი ფირმა მეორეზე მომგებიანი იყოს, მაგრამ ეს მოგება მან მიიღოს უფრო მეტი დანახარჯების ფასად, ვიდრე მეორემ (რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის უპირატესობას უსვამს ხაზს).

მაგალითად, საწარმოს მოგება შეადგენს 3 000 ლარს, ხოლო საწარმოსი – 5 000 ლარს. მაგრამ საწარმომ ეს მოგება მიიღო 2 000 ლარის დანახარჯის შედეგად, ხოლო საწარმომ – 4 500 ლარის დანახარჯით. აქედან გამომდინარე, საწარმო უფრო ეფექტიანია ვიდრე , ვინაიდან :

3000
3001 5000
_____ > _____
2000 4500

წარმოების ეფექტიანობის გაანგარიშებისას შედეგი უფარდდება მის მიღებაზე გაწეულ ერთი ან ყველა ფაქტორის ხარჯს. ეკონომიკური ეფექტიანობა არის არსებული რესურსებიდან მაქსიმალურად შესაძლებელი დოვლათის მიღება. ამისათვის კი აუცილებელია მუდმივად შეუდარდეს შედეგი და ხარჯები, ანუ მეურნეობა წარიმართოს რაციონალურად, რათა რესურსების მინიმიზებით მიღწეული იქნას შედეგების მაქსიმიზება.

განასხვავებენ საწარმოს ფაქტორულ და საერთო ეფექტიანობას. ფაქტორული ეფექტიანობის გამოთვლისას, როგორც ითქვა, წარმოების შედეგს უფარდებენ წარმოების ერთ რომელიმე ფაქტორს (შრომას, კაპიტალს, ნედლეულს).

$$\text{შრომის უკუგება, მწარმოებლურობა} = \frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{მომუშავე მუშაკთა რაოდენობა}}$$

$$\text{კაპიტალუკუგება} = \frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{ძირითადი კაპიტალის ღირებულება}}$$

$$\text{მასალუკუგება} = \frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{მასალების ხარჯი}}$$

შრომის მწარმოებლურობის შებრუნებული სიდიდეა **შრომატევადობა**, კაპიტალუკუგების შებრუნებული სიდიდეა **კაპიტალტევადობა**, ხოლო მასალუკუგების შებრუნებული სიდიდეა მასალატევადობა.

წარმოების საერთო ეფექტიანობის მახასიათებელია რენტაბელობა.

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{წარმოების ხარჯები}} \times 100$$

$$\text{ან} \quad \text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ღირებულება}} \times 100$$

ფირმის ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე, ახასიათებს აქტივების ლიკვიდურობა. **ფირმის აქტივები – ეს არის საკუთარ კაპიტალს დამატებული ვალდებულებები.**

აქტივების ელემენტებია : ნაღდი ფული, მატერიალური რესურსები, ფასიანი ქაღალდები, არამატერიალური ფასეულობანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფირმის აქტივებია ყველაფერი ის რაც მას ფულის სახით გააჩნია, რაშიც ფულია ჩადებული და რაც შეიძლება იოლად გადაიქცეს ფულად. **აქტივების ლიკვიდურობა გულისხმობს ფირმის აქტივების ფულად გადაქცევას სწრაფად და უდანაკარგოდ ანუ ფირმის გადახდისუნარიანობას**.

ლიკვიდურების დონის შესაფასებლად გამოიყენება ორი მაჩვენებელი: დაფარვის კოეფიციენტი და ვადიანობის კოეფიციენტი.

$$\text{დაფარვის კოფიციენტი} = \frac{\text{ფირმის საბრუნავი საშუალებები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებანი}}$$

სასურველია, რომ ფირმის საბრუნავი საშუალებები (ფონდები) ანუ მიმდინარე აქტივები (ფული სალაროში, ანგარიშსწორების ანგარიშზე, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება და სასაქონლო–მატერიალური მარაგები) მოკლევადიან ვალდებულებებზე ნაკლები არ იყოს, რათა საჭიროების შემთხვევაში ამ აქტივების მეშვეობით შესაძლებელი გახდეს ვალდებულებების დაფარვა, ხოლო თუ ფირმას თავისი აქტივები ვალდებულებებზე ნაკლები აქვს, მაშინ მის მიერ მოგების მიუღებლობის შემთხვევაში არსებობს ფირმის გაკოტრების საშიშროება.

$$\text{ვადიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{სწრაფად რეალიზებადი მაღალლიკვიდური აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებანი}}$$

სწრაფად რეალიზებად მაღალლიკვიდურ აქტივებში შედის: ფული სალაროში, ანგარიშსწორების ანგარიშზე, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება. ე. ი. ამ შემთხვევაში მრიცხველში არ გაითვალისწინება სასაქონლო–მატერიალური მარაგები, როგორც საბრუნავი ფონდების ყველაზე ნაკლებლიკვიდური ნაწილი. ვადიანობის კოფიციენტი გვიჩვენებს, თუ ფირმას რამდენად სწრაფად შეუძლია ფულადი ვალდებულების დაფარვა. ფირმისათვის კარგია, როცა ეს მაჩვენებელი ახლოს არის ერთთან, ხოლო თუ ის ერთზე მეტია ეს არაა სასურველი, ვინაიდან ამ დროს ფირმას გააჩნია იმაზე მეტი საშუალებები, ვიდრე საჭიროა.

ფირმის ეფექტიანობის კიდევ ერთი მაჩვენებელია **გამოსყიდვის მაჩვენებელი**, რაც იმას გვიჩვენებს, თუ მეწარმეს რამდენად სწრაფად შეუძლია დაიბრუნოს საქმეში

დაბანდებული ფული. მაგალითად, თუ საქმეში დაბანდებული იქნა 9 000 ლარი, ხოლო ყოველწლიური მოგება ამ საქმიდან შეადგენს 3 000 ლარს, მაშინ 9 000 ლარი უნდა გავყოთ 3 000-ზე და მივიღებთ 3-ს. რაც ნიშნავს, რომ კაპიტალდაბანდებები გამოისყიდება 3 წელიწადში.

ფირმის მდგრადობის, საიმედობის კრიტერიუმი ახასიათებს ფირმის საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის ხარისხს და მის მიმართებას დაფინანსების გარე წყაროსთან. **ფირმის მდგრადობის მაჩვენებელი ტოლია საკუთარი საშუალებებისა და ნასესხი სახსრების ფარდობისა.**

ბუნებრივია, რომ რაც მეტად არის ფირმა უზრუნველყოფილი საკუთარი საშუალებებით, ანუ დაფინანსების შიდა წყაროებით და რაც ნაკლებად აკითხებს იგი გარე წყაროებს, მით მაღალია მისი ფინანსური დამოუკიდებლობა და საიმედობა (სიმდგრადე); უდავოა, რომ საკუთარი ფული სხვისაზე საიმედოა. სწორედ ამიტომ აუცილებელია საკუთარი საშუალებების ღირებულებას არ აღემატებოდეს ნასესხი საშუალებები, რათა მოგების მიუღებლობის შემთხვევაში ფირმამ გაიღოს საკუთარი საშუალებანი და დაფაროს კუთვნილი სავალო ვალდებულებანი.

საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს უზარალობის დონის განსაზღვრას.

9.4. საწარმოს უზარალობის დონის განსაზღვრა

ხარჯების ანალიზის ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია უზარალობის დონის განსაზღვრა. **ბიზნესის უზარალობა ეს არის წარმოების ან გასაღების ის დონე, რომლის დროსაც საქონლის (მომსახურების) გაყიდვიდან ფინანსური შემოსულობანი უტოლდება ხარჯებს, ანუ გასაღების იმ მინიმალურ დონეს, რომლის დროსაც არ არის ზარალი**.

ბიზნესის უზარალობის ანალიზს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს, თქვენი საქმე მომგებიანი იქნება თუ ზარალიანი. გასაგებია, რომ მეწარმისათვის მოგების მიღება არის სავალდებულო საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

საწარმოს სიცოცხლიუნარიანობა და საქმიანი აქტივობის მიზანშეწონილობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად უზრუნველყოფილია დაბანდებული საშუალებებიდან ფინანსური უკუგება, შემოსავლების მიღწეული დონე რამდენად ქმნის წარმოების შემდგომი ზრდის ეკონომიკურ სტიმულებს.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გაირკვეს, სიდიდის მიხედვით როგორი უნდა იყოს საქონლის რეალიზაციის მინიმალურად დასაშვები მოცულობა, რათა თქვენი საქმიანობიდან არ წარმოიშვას ზარალის მიღების სიტუაცია.

უზარალობის ანალიზი იწყება ამონაგების განსაზღვრით, რაც ტოლია საცალო ფასისა და ერთეულ პროდუქციაზე ცვლადი ხარჯების სხვაობისა. დავუშვათ, პროდუქციის ზოგიერთი სახეობის ერთეული რელიზდება 1000 ლარად, ერთეული პროდუქციის დამზადებაზე ცვლადი ხარჯები შეადგენს 600 ლარს; მუდმივი ხარჯები ტოლია 400 000 ლარის.

ასეთ შემთხვევაში ამონაგები შეადგენს: 1000–600 = 400 ლარს;

ანუ ამონაგები = გაყიდვიდან შემოსავალი – ცვლადი ხარჯები. ახლა დავიანგარიშოთ ნაწარმის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია გაიყიდოს, რათა მთლიანი ამონაგები გაუტოლდეს მუდმივ ხარჯებს. ამისათვის საჭიროა მუდმივი ხარჯები გაიყოს ამონაგებზე. ჩვენს მაგალითში ეს იქნება: 400 000 : 400= 1000 ანუ უზარალობის წერტილი=მუდმივი ხარჯები : ამონაგებზე,

ჩატარებული ანალიზი მოწმობს, რომ მხოლოდ 1001 და შემდგომი პროდუქციის გამოშვება და გაყიდვა იძლევა მოგებას მითითებული დანახარჯებით. თუ ნაწარმის რაოდენობა რაღაც მიზეზის გამო 1000 ერთეულზე ნაკლები იქნება, მაშინ წარმოების ხარჯები აუნაზღარებელი აღმოჩნდება და, მაშასადამე, მოგებაზე ლაპარაკი ზედმატი იქნება, რამდენადაც წარმოიშვება ზარალი. ეს არის მომგებიანობისა და ზარალიანობის ერთგვარი წონასწორობის წერტილი.

საწარმოს მომგებიანობაში დიდი როლი ენიჭება შემოსავლების, ხარჯების, სამეურნეო ოპერაციების და ა. შ. ზუსტ ბუღალტრულ აღრიცხვას.

ნაწილი მეორე

9.5.ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტები ბიზნესში;

9.6.ბიზნესის საგადასახადო და საბაჟო დაბეგვრა საქართველოში.

9.5. ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტები ბიზნესში

ნებისმიერ ბიზნესმენი და მენეჯერი კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღებისათვის საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ბუღალტრულ აღრიცხვაში და მის ისეთ ქვესისტემაში, როგორიც არის ფინანსური და მმართველური აღრიცხვა.

ბუღალტრული აღრიცხვა იძლევა მართვისათვის მეტად საჭირო ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის, ქონებისა და მისი წყაროების, შემოსავლებისა და ხარჯების და საქმიანობის საბოლოო შედეგების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების მომხმარებლები არინ ბიზნესის სიტემის სუბიექტები: **მეწარმეები,** რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს იყენებენ დაგეგმვისა და კონტროლისათვის და მოსამსახურეთა მოტივაციისათვის; **ინვესტიორები (აქციონერები)**, რომლებიც აღნიშნულ მონაცემებს იყენებენ საწარმოს საქმიანობის შეფასებისათვის; **თანამშრომლები**, რომელთაც აინტერესებთ რამდენად სტაბილური მდგომარეობა აქვთ დამქირავებლებს, ექნებათ თუ არა მყარი სამუშაო ადგილი და თავიანთი შრომის შესაბამისი ანზღაურება; **მიმწოდებლები,** რომელთაც აინტერესებთ რამდენად უნარიანია საწარმო დროულად გაანაღდოს მიწოდებული საქონელი;

კრედიტორები, რომლებიც აღნიშნულ მონაცემებს იყენებენ საწარმოთა კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის; **სახელმწიფო**, რომელიც აღნიშნულ მონაცემებს იყენებს საწარმოს გადასახადებზე კონტროლისათვის და ახალი აქციების გამოშვების ნებართვისათვის. **საზოგადოება**. ბევრი მსხვილი კომპანია ყოველწლიურად აქვეყნებს თავის ფინანსურ ანგარიშს, რათა, ერთი მხრივ, დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი მისი კომპანიისადმი და, მეორე მხრივ, მოახდინოს ფირმის პოპულარიზაცია, მოიზიდოს მეტი კლიენტი და ა.შ.

ბუღალტრული აღრიცხვა მეწარმეს საშუალებას აძლევს გაარკვიოს რამდენად მომგებიანია საკუთარი საწარმო, რამდენად გონივრულად ხდება აქციონერებისა და კრედიტორების მიერ მინდობილი ფულის ინვესტირება, როგორია საწარმოს ფასი (თუნდაც ქაღალდზე) და სხვა.

ბუღალტრული აღრიცხვის საუკეთესო სისტემა არის ის, რომელიც: საწარმოს მიმდინარე ფინანსურ საქმიანობას იოლად უდარებს წინანდელს და დაგეგმილ ფინანსურ მიზნებს; შესაძლებლობას იძლევა სწრაფად მოინახოს აუცილებელი მონაცემები და შედგეს საგადასახადო დეკლარაციები და ფინანსური ანგარიშგებები; იძლევა მაღალი ხარისხის ინფორმაციას და მისი სისრულის გარანტიას; შესაძლებლობას იძლევა შეგროვილ და გადამუშავებულ იქნას ინფორმაცია მინიმალური დანახარჯებით, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი თაღლითობა და გაიძვერობა.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია გადმოსცეს ინფორმაცია ყველასათვის გასაგები ენით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ციფრებით. ამისათვის **მსოფლიოში ბევრი ქვეყანა შეთანხმებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე, მათ შორის საქართველოც**. ეს სტანდარტები გულისხმობს იმას, რომ ყველა სახის ბუღალტრული ინფორმაცია, იქნება ეს შემოსავალი, ხარჯი, ბალანსი თუ სხვა, აღინიშნება რიცხვებით. სწორედ ამის დამსახურებაა ის, რომ ფირმის მდგომარეობაში ნებისმიერი ეროვნების ინვესტორს შეუძლია გაერკვეს თარჯიმნის გარეშე და ერთი თვალის გადავლებით გაიგოს თუ რა ხდება მისთვის საინტერესო ფირმაში.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის საბოლოო პროდუქტია:

მოგება–ზარალის ანგარიში, რომელიც იძლევა პასუხს კითხვაზე–რამდენად ეფექტიანი იყო საქმიანობა? რამდენად მომგებიანია საწარმო განსაზღვრული დროის (ერთი თვის) განმავლობაში?

საბალანსო ანგარიში, რომელიც იძლევა პასუხს კითხვაზე–რამდენად ფინანსურად მდგრადია საწარმო მოცემულ მომენტში? როგორია საწარმოს ფასი (თუნდაც ქაღალდზე)?

საკასო ბიუჯეტი, რომელიც ახდენს საწარმოში ფულადი საშუალებების მოდინებისა და გადინების პროგნოზს, პასუხს იძლევა კითხვებზე: იქნება თუ არა საკმარისი ნაღდი ფული დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში? რამდენად მეტი ფულადი საშუალებანი იქნება საჭირო დაგეგმილი გაყიდვების განსახორციელებლად?

თუ მოგება-ზარალის ანგარიში შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებდა საწარმო გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საბალანსო ანგარიშებში ასახულია ინფორმაცია საწარმოს ფინანსურ კეთილდღეობაზე მოცემულ მომენტში.

საბალანსო ანგარიში მეწარმეებს უჩვენებს: როგორია მათი საწამოს ფასი (ქადალდზე); რა ოდენობის საშუალებებია დაბანდებული ისეთ აქტივებში, როგორიცაა მატერიალურ–საწარმოო მარაგები, მიწა და მოწყობილობა; ვის და რა წილი უდევს ამ აქტივებში და სხვა.

ბუღალტრები განსაზღვრავენ ბალანსს, როგორც ანგარიშს, სადაც მარცხენა მხარეს წარმოდგენილია აქტივები, ხოლო მარჯვნივ–მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი და კაპიტალი.

საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის ფედერაციის მიერ რეკომენდებული "ბალანსის" სქემა ზოგადი სახით ასე გამოიყურება

აქტივები	პასივები
I. გრძელვადიანი აქტივები	I. საკუთარი კაპიტალი
II. მიმდინარე აქტივები	II. გრძელვადიანი ვალდებულებები
	III. მოკლევადიანი ვალდებულებები
ბალანსი(1+11)	ბალანსი(1+11+111)

საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ქონება ანუ ეკონომიკური რესუსები **(აქტივები)** და ამ ეკონომიკური რესურსების ფორმირების წყაროები **(პასივები),** საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები.

აქტივები – ეს არის ფირმის საკუთრებაში არსებული ფულადი, მატერიალური და არამატერიალური (პატენტები, ლიცენზიები, საავტორო უფლებები, სავაჭრო მარკა, ნოუ-ჰაუ, ფირმის ფასი ანუ გუდვილი და სხვა) ფასეულობანი;

პასივები შედგება ფირმის მოზიდული სახსრებისაგან ანუ ვალებისაგან და საკუთარი კაპიტალისაგან ანუ ფირმის მესაკუთრეების (დამფუძნებლების) მიერ ინვესტირებული ფულადი და მატერიალური საშუალებებისაგან. საკუთარი კაპიტალიც ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ვალდებულება, ოღონდ საწარმოს მფლობელების მიმართ. საკუთარი კაპიტალი მიგვითითებს იმ თანხაზე, რომელიც შეიძლება მფლობელმა მოთხოვნის სახით წაუყენოს საწარმოს. საკუთარი კაპიტალი არის დამფუძნებლების შენატანები პლიუს წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგი მოგების სახით. დამფუძნებელთა (მესაკუთრეთა) მიერ ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე საწარმოს წესდებით განისაზღვრება და მას საწესდებო კაპიტალი ეწოდება. **საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს საწარმოს ვალდებულებას მისი დამფუძნებლების (მესაკუთრების) მიმართ.**

საბალანსო ანგარიშგებამ ყოველთვის უნდა დააკმაყოფილოს ტოლობა:

აქტივები = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები;

საკუთარი კაპიტალი =აქტივები – ვალდებულებები;

ვალდებულებები=აქტივები–საკუთარი კაპიტალი

მოგება-ზარალის ანგარიშში თავმოყრილია ფირმის შემოსავლები და ხარჯები და მათ შორის სხვაობა დროის მოცემულ პერიოდში, რომელიც აფიქსირებს ან მოგებას ან ზარალს.

მაგალითად, მოგება-ზარალის ანგარიშის მიხედვით, ფირმამ გაყიდა 5 700 ლარის ღირებულების პროდუქცია, რომლის წარმოება-გასაღება დაჯდა 5000 ლარი, ამ შემთხვევაში მოგება ტოლია 700 ლარის, ხოლო თუ ფირმამ უნდა გადაიხადოს 250 ლარის გადასახადი, მას წმინდა მოგება დარჩება 700-250=450 ლარის ოდენობის.
როდესაც დანახარჯები აღემატება შემოსავალს, ფირმა ზარალდება.

მიუხედავად მოგება-ზარალის ანგარიშისა და ბალანსის დიდი მნიშვნელობისა, მათ აქვთ ერთი არსებითი ნაკლი: ისინი ნაკლებ მეტყველებენ ფულადი საშუალებების მოძრაობის მდგომარეობაზე. ეს ფაქტი ზოჯერ მხედველობის მიღმა რჩებათ მეწარმეებს. მათ ჰგონიათ, რომ რაკი საწარმო მომგებიანია, მაშასადამე, იგი ფინანსურადაც მდგრადია. სინამდვილეში, ეს შეიძლება ასე არ იყოს. დიახ, რეალურად, თუნდაც მაღალი მომგებიანობის პერიოდში, როცა მყიდველები დროულად არ უხდიან მათ მიწოდებული საქონლის ღირებულებას ანუ დროულად არ იფარება დებიტორული დავალიანება, ხელმძღვანელობა ხშირად იძულებული ხდება წარმოების პროცესის უწყვეტობის მიზნით სასწრაფოდ აიღოს სესხი, ვთქვათ, შეძენილი მასალების ღირებულების დასაფარავად ან ხელფასის გასაცემად. აი, სწორედ ამიტომ საწარმოს ხელმძღვანელი მუდმივად უნდა აკონტროლებდეს ფულადი საშუალებების მოძრაობას, რათა განჭვრიტოს მათი ნაკლებობა ან სიჭარბე და გადაწყვეტილებებიც ადეკვატური მიიღოს..

თქვენი ფირმისათვის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესამუშავებლად დახმარებისათვის უნდა მიმართოთ ბუღალტერს. ამის შემდეგ მას უნდა მიანიჭოთ მოქმედების თავისუფლება, რათა საწარმოს ზრდის კვალობაზე შეძლოს აწარმოოს ცვლილებები აღრიცხვის სისტემაში, მოამზადოს სპეციალური ფინანსური ანგარიშები მომავალი ინვესტიორებისა და კრედიტორებისათვის და ამ გზით მოიზიდოს ახალი ფულადი საშუალებანი.

ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებების მიუხედავად ბუღალტრული აღრიცხვის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის. ასე მაგალითად, **მას არ შეუძლია საწარმოს ჭეშმარიტი ღირებულების შეფასება**; ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ქაღალდზე. აქტივები აისახება იმ ფასში, რომლითაც იგი იყიდა მეწარმემ. ეს ღირებულება შენარჩუნებულია ბუღალტრულ წიგნში, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივების ფასი დროთა ვითარებაში შეიძლება გაიზარდოს. მაგალითად, მეწარმემ იყიდა მიწის ნაკვეთი წყნეთში 10 000 ლარად; ეს აქტივი ჩაიწერება 10 000 ლარის ღირებულებით. თუ ერთი წლის შემდეგ მასთან მივა მყიდველი და ამ მიწაში შესთავაზებს 20 000 ლარს, ამით მეწარმე მიიღებს დამაჯერებელ დასტურს იმაზე, რომ მოცემული მიწის ნაკვეთის ნამდვილი ღირებულება არის 20 000 ლარი. მიუხედავად ამისა ბუღალტრული აღიცხვის პრაქტიკა რეკომენდაციას იძლევა ბალანსში ჩაირთოს სახელდობრ ნაყიდი აქტივის საწყისი ღირებულება. ამიტომაა, რომ აქტივების ღირებულება, ჩაწერილი ბუღალტრულ ბალანსში, ყოველთვის არ ასახავს ღირებულებას, რომლის

მიხედვითაც შეიძლება მათი გაყიდვა. როგორც წესი, რაც უფრო ძველია აქტივი, მით ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ მისი ღირებულება, ჩაწერილი ფინანსურ ანგარიშში, დაემთხვევა მომავალი მყიდველის მიერ მის შეფასებას.

ამას გარდა, **ბუღალტრულ აღრიცხვაში შეუძლებელია აისახოს ისეთი არამატერიალურ აქტივები, როგორიცაა ჯგუფური საქმიანობა, მორალი, საწარმოს მეთაურის განზრახვები ან ჯანმრთელობა**. მოკლედ, ბუღალტრულ აღრიცხვას არ ძალუძს მოგვცეს მოცემული საწარმოს ზუსტი და სრული სურათი. მიუხედავად ამისა, ბუღალტრული აღრიცხვა მაინც რჩება, როგორც ბიზნესის მენეჯმენტის საჭირო და მნიშვნელოვანი საშუალება.

ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია იყოფა: საგარეო ანუ **ფინანსურ აღრიცხვად** და შიდა ანუ **მმართველობით აღრიცხვად**. აღრიცხვის ეს ორი სახეობა, მსგავსების გარდა, ხასიათდება გარკვეული განმასხვავებული ნიშნებითაც. კერძოდ, ფინანსური აღრიცხვა და მის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ემსახურება ისეთ გარე მომხმარებლებს, როგორიცაა: საგადასახადო სამსახური, საკრედიტო დაწესებულებები, ინვესტიორები და ა.შ. სწორედ ამიტომ ფინანსური აღრიცხვის მონაცემები ატარებს საჯარო ხასიათს და ექვემდებარება გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნებას. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ფინანსური ანგარიშგების ისეთ დოკუმენტებს, როგორიცაა ბალანსი და მოგება–ზარალის ანგარიში. აღნიშნულის გამო, ფინანსური აღრიცხვის მონაცემები მოკლებულნი არიან კონფიდენციალურ ხასიათს.

ფინანსური აღრიცხვის მონაცემებისაგან განსხვავებით, მმართველური აღრიცხვის ინფორმაცია საშინაო დანიშნულებისაა. მასში, ფინანსური აღრიცხვის მონაცემების გარდა, ვხვდებით ფირმის კომერციულ საიდუმლოებებს, წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებსაც, სწორედ ამიტომ მმართველური აღრიცხვის ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს.

აღრიცხვის ორივე სახეობა უნდა ასახავდეს რეალურ სინამდვილეს და იყოს უტყუარი. ამ საქმეს ემსახურება შიდა და გარე აუდიტორული შემოწმება. საქართველოში აუდიტორულ საქმიანობას არეგულირებს კანონი აუდიტორული საქმიანობის სესახებ. კანონის თანახმად აუდიტის ჩატარება სავალდებულოა შეზღუდული პასუხისმგებლობის მეურნე–სუბიექტებისათვის. ეს სუბიექტები ვალდებულნი არიან საანგარიშო წელს 31 დეკემბრამდე შეატყობინონ საგადასახადო ინსპექციას აუდიტორულ მომსახურებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ, ხოლო აუდიტორული დასკვნა საგადასახადო ინსპექციას უნდა ჩაბარდეს წლიურ ანგარიშგებასთან ერთად.

“აუდიტი” უცხოური სიტყვაა და მოსმენას ნიშნავს. როგორც ექიმი ისმენს ფონენდოსკოპით ავადმყოფის ფილტვებისა და გულის ფუნქციონირებას, ისე აუდიტი– მეურნე სუბიექტის ფუნქციონირების ფინანსურ მხარეს. აუდიტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია აინტერესებს**, ერთი მხრივ**, საწარმოს მეპატრონეს, და **მეორე მხრივ**, სახელმწიფოს ფირმის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების თვალსაზრისით.

ჩვეულებრივ, საწარმოს აყალიბებს დამფუძნებელი. თუ მას არ გააჩნია სურვილი და უნარი მისი გაძღოლისა, მაშინ იგი ამ ფუნქციას გადასცემს მენეჯერს. ცხადია, მეპატრონეს წლის ბოლოს აინტერესებს კუთვნილი საწარმოს ფინანსურ–ეკონომიკური მდგომარეობა ანუ ის, თუ როგორ იყენებს მის ქონებას

მენეჯერი–მატულობს თუ კლებულობს იგი. ამ მოტივით, მეწარმე ახდენს კუთვნილი საწარმოს აუდიტორულ შემოწმებას. ცხადია, ამგვარი შემოწმებით დაინტერესებულია სახელმწიფოც. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტორული შემოწმება შეიძლება მოხდეს, როგორც ფირმის მესაკუთრის, ისე სახელმწიფოს, ვთქვათ, საგადასახადო დეპარტამენტის ინიციატივით. **აუდიტორული შემოწმება სოციალისტური რევიზიისაგან იმით განსხვავდება, რომ რევიზია ემსახურებოდა მხოლოდ გარღვევების გამოვლენას, აუდიტი კი, ზემოთ ხსენებულთან ერთად, გულისხმობს გარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებასაც.**

აუდიტორული შემოწმების ბოლოს შემმოწმებლის მიერ ფორმდება დასკვნის აქტი. დასკვნა შეიძლება იყოს ოთხი სახის:

1. დადებითი დასკვნა;

2.პირობითი დადებითი დასკვნა (გარღვევებზე დგება აქტი და ეძლევა მითითება გამოსწორების შესახებ);

3. უარყოფითი დასკვნა;

4. არ ეძლევა დასკვნა (შეიძლება საწარმოს ყველაფერი კარგად ჰქონდეს, მაგრამ ფილიალები გააჩნდეს საზღვარგარეთ, რომლებიც დიდად განსაზღვრავენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ ვერ ხერხდება მათი შემოწმება).

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდაა დამოკიდებული მის საგადასახადო და საბაჟო დაბეგვრაზე.

9.6. ბიზნესის საგადასახადო და საბაჟო დაბეგვრა საქართველოში

გადასახადი არის კანონით დადგენილი ბიუჯეტში აუცილებელი შენატანი, რომელსაც იხდიან როგორც კერძო პირები, ისე ფირმები, რომ სახელმწიფომ შეძლოს თავისი საშინაო და საგარეო ფუნქციების შესრულება. აქედან გამომდინარე, ოფიციალური გადასახადის დაწესება და გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო კანონების შესაბამისად.

გადასახადებით ფორმირებულ სახელმწიფო ბიუჯეტთან სისხლხორცეულ კავშირშია: ოფიცერი, ჯარისკაცი, მესაზღვრე, მებაჟე, პოლიციელი, პარალმენტარი, მინისტრი, მოსამართლე, მეცნიერი, მწერალი, ექიმი, პედაგოგი, პენსიონერი, სტუდენტი და მრავალი სხვა, რადგანაც ყველა ისინი არსებობისა და განვითარების წყაროს ბიუჯეტიდან ღებულობენ. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი მოქალაქე თუ მეწარმე კარგად უნდა ერკვეოდეს გადასახადების არსში, სახეობებში და მათი ადმინისტრირებისა და გამოყენების საკითხებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით (შემოღებული იქნა 2004 წლის 22 დეკემბერს) გათვალისწინებულია ოთხი სახელმწიფოებრივი: მოგების გადასახადი, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, აქციზი და ერთი ადგილობრივი გადასახადი: ქონების გადასახადი. საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 20%-ს. წინათ არსებული 12-პროცენტიანი საშემოსავლო და 20 პროცენტიანი სოციალური გადასახადის ნაცვლად, რომელთა ჯამი შეადგენს 32 პროცენტს, 2008 წლიდან დაწესდა ერთი ჯამური გადასახადი და დაიწია მან 20 პროცენტამდე. ამ გადასახადს ყოველთვიურად ის პირები (რეზიდენტი და არარეზიდენტი) იხდიან, რომლებიც შემოსავალს

საქართველოში იღებენ, მიუხედავად იმისა, საქართველოს მოქალაქეები არიან თუ არა; 2008 წლიდან მოგების გადასახადმა 20-დან 15 პროცენტამდე დაიწია. აღნიშნულ გადასახადს იხდის როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის საწარმო (ფირმა), რომელიც საქმიანობს და მოგებას იღებს საქართველოში. დაბეგვრის ობიექტი არის მთლიანი მოგება, ანუ ის მოგება, რომელიც გაიანგარიშება, როგორც სხვაობა მთლიან შემოსავლებსა და მთლიან ხარჯებს შორის. დამატებული ღირებულების გადასახადი არის საქონლის (მომსახურების) წარმოების ან განაწილების ყველა ეტაპზე დამატებული ღირებულების გარკვეული ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმა. იგი არის ირიბი გადასახადი, რადგანაც მას იხდის მყიდველი, ხოლო ბიუჯეტში გადარიცხავს გამყიდველი. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი დღგ შეადგენს 18%-ს. დღგ-ს იხდის მეწარმე, რომლის შემოსავალიც ერთი წლის განმავლობაში აღემატება 100 000 ლარს, ასევე, ის გამყიდველი, რომელიც გარკვეული სახის იმპორტს ახორციელებს; აქციზი, ასევე, არის ირიბი გადასახადი. აქციზის გადასახადს იხდის ის პირი, რომელიც საქართველოში აწარმოებს სახელმწიფოს მიერ დაგენილ აქციზურ პროდუქციას (ნავთობპროდუქტებს, თამბაქოს ნაწარმს, სპირტიან სასმელებს), ან ანხორციელებს აქციზური პროდუქციის იმპორტს. ამ გადასახადის ძირითადი მიზანია ბიუჯეტის შევსება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. აქციზური განაკვეთი დგება ორი ფორმით; ადვალური–რაც ნიშნავს აქციზური განაკვეთის ფასის შესაბამის დადგენას და ფიზიკურ ერთეულზე (ლიტრი, კოლოფი და სხა). ქონების გადასახადი, წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომლის შემოღების უფლება აქვს თვითმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

მასში შედის უძრავი ქონების, მსუბუქი ავტომობილების, თვითმფრინავების, იახტების, შვეულმფრენების მფლობელების, საქართველოს საწარმოების ქონების მფლობელობის (საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების –1%);

საბაჟო საქმის რეგულირების საფუძვლებს საქართველოში აწესებს საბაჟო კოდექსი. საბაჟო გადასახადით იბეგრება საქონლის უცხოეთიდან შემოზიდვა (იმპორტი) და უცხოეთში გაზიდვა (ექსპორტი). ახალი საბაჟო კოდექსით წინათ მოქმედი 16 საიმპორტო ტარიფიდან დარჩა მხოლოდ სამი სახის საბაჟო ტარიფი: ნულოვანი, 5-პროცენტიანი და 12-პროცენტიანი. ნულოვანი განაკვეთი ვრცელდება მანქანა-დანადგარებზე, ძირითად საწარმოო საშუალებებზე, ნებისმიერი სხვა სახის არასასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე კი დაწესდა ყველაზე მაღალი განაკვეთი – 12%. სასოფლო-სამეურნეო ნედლეული საბაჟო განაკვეთით არ იბეგრება, რათა ამ სექტორის განვითარებას შეეწყოს ხელი. საბაჟო მოსაკრებელი კი საბაჟო მომსახურების საფასურია.

თემა 9: ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფა, ბუღალტრული აღრიცხვა და დაბეგვრა ბიზნესში

მეწარმესა (ფირმას) თუ მოქალაქეს ბანკი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი ესაჭიროება მაშინ, როცა დროებით თავისუფალი ფული გააჩნია და მაშინაც, როცა აქვს მოთხოვნილება დამატებით ფულად სახსრებზე.

ფინანსური მენეჯმენტი სწორედ ფულადი საშუალებების მოზიდვასა და ფირმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად მის ეფექტიან ინვესტირებას (დაბანდებას) ემსახურება მოგების მიღებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული მეწარმე და მენეჯერი ვალდებულია სათანადოდ ერკვეოდეს ფინანსურ მენეჯმენტში ანუ ბიზნესის ფინანსურ უზრუნველყოფაში, რადგანაც ბიზნესი ფინანსურ უზრუნველყოფას საჭიროებს, როგორც საწყის, ისე შემდგომ სტადიებზე.

საწყისი კაპიტალი ანუ ე. წ. **„სტარტაპი“ აუცილებლია** ბიზნესის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებისათვის. საწყისი კაპიტალის უმეტესი ნაწილი მოდის საწარმოს დამფუძნებლებზე, დანარჩენი ნაწილი კი მოიზიდება ფულის სესხად აღებითა და საწარმოს წილის ან აქციების გაყიდვით. **იპოთეკური კრედიტის დროს სესხით ნაყიდი სიკეთით, ვთქვათ, ბინით სარგელობენ დღეს და საფასურს იხდიან ხვალ.** იპოთეკური სესხის უზრუნველყოფის (გირაოს) საშუალებად კი შეიძლება მოგვევლინოს ამავე სესხით ნაყიდი სახლი, საკუთარი ბინა ან სხვა უძრავი ფასეულობა. **ხაზგასასმელია, რომ ევროპელი მიჩვეულია** ახალი საქონლის შეძენას თავისი შემოსავლების ნაწილის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გადანახვით, ეს მაშინ როდესაც **აშშ-ი მიღებულია** საქონლის კრედიტით ყიდვა, რომელიც შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში უნდა დაიფაროს.

საწარმოს ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ყველაზე რაციონალური წესი ბიზნეს-გეგმის შედგენაზე დაიყვანება, რომლის ცენტრალური რგოლია ფინანსური გეგმა. **საწარმოს ფინანსური გეგმა** არის მისი ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების წლიური ნუსხა ანუ ბიუჯეტი. თავის მხრივ, ფინანსური გეგმის შემადგენელია ხარჯთაღრიცხვის ნუსხა. “ნუსხა” ფირმის შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი საწარმოო, ორგანიზაციული, მარკეტინგული, იურიდიული და სხვა ოპერატიული გეგმების ტრანსფორმირებაა ფულად თანხაში. იგი ასახავს ფულად საშუალებებზე მოთხოვნილებას საწარმოს ფუნქციონირების დაწყებამდე და მას შემდეგ.

“ნუსხას” იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თანამედროვე პირობებში ბევრი კრედიტორი და ინვესტიორი ერიდება სახსრების გამოყოფას საკრედიტო განაცხადთან ერთად მისი წარდგენის გარეშე. “ნუსხა” ეხმარება მეწარმეს არა მხოლოდ ფულის მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემების (ნაკლებობის ან სიჭარბის) გამოვლენაში, არამედ იმაშიც, რომ ზუსტი პასუხი გასცეს კრედიტორებს და ინვესტიორებს შემდეგ კითხვებზე: მეწარმისათვის რამდენი ფულია საჭირო საკუთარი ბიზნეს–გემის რეალიზაციისათვის? როდის იქნება ეს ფული საჭირო? როგორ მოხდება მათი ხარჯვა? როდის დაიფარება ვალი პროცენტითურთ?

არსებობს ბიზნესის დაფინანსების ორი–შიდა და გარე წყარო. **შიდა წყაროში მოიაზრება ის შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია ფირმის საქმიანობისა და მისი საკუთარი ქონების გაყიდვა–გაიჯარების შედეგებთან. ესაა:** ფირმის საკუთარი სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავალი; ამორტიზაციის ფონდი;

საკუთარი ქონების რეალიზაციიდან და იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

გარე წყაროში შედის: პირადი და ოჯახის წევრების დანაზოგები; კრედიტი (ამ შემთხვევაში ხდება ბიზნესის ვალით დაფინანსება); ფირმის მიერ აქციების გაყიდვა (კორპორაციის შემთხვევაში) ან ფირმის პოტენციურ მფლობელთაგან დამატებითი სახსრების მოზიდვა (ერთპიროვნული მფლობელობისა და პარტნიორობის შემთხვევაში). ამ ორივე შემთხვევაში ფულის ინესტიორები (დამბანდებლები) ფირმის ნაწილობრივი მფლობელებიც გახდებიან; უნაცვალგებო (მუქთა) დაფინანსება.

ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს: მომგებიანობა, საერთო და ფაქტორული ეფექტიანობა, ფირმის ლიკვიდურობა, დაფარვისა და ვადიანობის კოეფიციენტი, გამოსყიდვისა და მდგრადობის მაჩვენებელი. ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ყველაზე ეფექტიანი შემფასებელია მისი ბალანსი (ფორმა №1), მოგება-ზარალის ანგარიში (ფორმა №2) და საკასო ბიუჯეტი ანუ ნაღდი ფულის მოძრაობა. ორმაგი ბუღალტერია ასახავს ფირმას მთლიანობაში ანუ მომარაგების, წარმოების და გასაღების სამეურნეო ოპერაციებს; ფინანსური და მმართველური აღრიცხვის ამოცანაა სამეურნეო ოპერაციების (მომარაგება, წარმოება და გასაღება) ზუსტი აღრიცხვა და მმართველური გადაწყვეტილებისათვის უტყუარი და საიმედო ინფორმაციის მომზადება.

ნებისმიერი ტიპის ფირმისთვის ბუღალტრულ აღრიცხვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც განპირობებულია იმით, რომ საწარმოს **ბუღალტერიის ანგარიშებს დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ხელმძღვანელი, ასევე სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოებაც**. ყველა მათგანს აქვს მიზეზი, თუ რატომაა საჭირო ბუღალტრული ინფორმაცია მათთვის. მაგალითად, **კომპანიის ხელმძღვანელობას ეს ინფორმაცია აძლევს საშუალებას**, რომ მიიღონ გადაწყვეტილებები ახალ პროექტებთან დაკავშირებით, წაახალისონ თუ არა კომპანიის მუშაკები და სხვ. **რაც შეეხება სახელმწიფო სტრუქტურებს (საგადასახადო სამსახური, სტატისტიკის სამსახური), მათი ინტერესი სხვა მიზეზითაა გამოწვეული**. **მაგალითად, სტატისტიკის დეპარტამენტს აინტერესებს** ამათუიმ ფირმის შესახებ ბევრი ინფორმაცია. კერძოდ, რამდენი მუშახელი ჰყავს დაქირავებული, რათა შემდგომ დაითვალოს სახელმწიფოში უმუშევრობის დონე, გაიგოს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, რაც საჭიროა ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლის დასათვლელად და ა.შ. **რაც შეეხება საგადასახადო სამსახურებს, მათი ძირითადი ინტერესი გამოწვეულია იმით**, რომ მოახდინონ სახსრების მობილიზება სახელმწიფი და ადგილობრივ ბიუჯეტებში. ასევე, ზუსტად იქნას დათვლილი მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლები (კერძოდ, საგადასახადო შემოსავლები). ბევრი მსხვილი კომპანია ყოველწლიურად აქვეყნებს თავის ფინანსურ ანგარიშს, რათა, ერთი მხრივ, დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი მისი კომპანიისადმი და, მეორე მხრივ, მოახდინოს ფირმის პოპულარიზაცია, მოიზიდოს მეტი კლიენტი და ა.შ.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია გადმოსცეს ინფორმაცია ყველასათვის გასაგები ენით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ციფრებით. ამისათვის **მსოფლიოში ბევრი ქვეყანა შეთანხმებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე, მათ შორის საქართველოც**. ეს

სტანდარტები გულისხმობს იმას, რომ ყველა სახის ბუღალტრული ინფორმაცია, იქნება ეს შემოსავალი, ხარჯი, ბალანსი თუ სხვა, აღინიშნება რიცხვებით. სწორედ ამის დამსახურებაა ის, რომ ფირმის მდგომარეობაში ნებისმიერი ეროვნების ინვესტორს შეუძლია გაერკვეს თარჯიმნის გარეშე და ერთი თვალის გადავლებით გაიგოს თუ რა ხდება მისთვის საინტერესო ფირმაში.

ფინანსური აღრიცხვის მონაცემებისაგან განსხვავებით, მმართველური აღრიცხვის ინფორმაცია საშინაო დანიშნულებისაა. მასში, ფინანსური აღრიცხვის მონაცემების გარდა, ვხვდებით ფირმის კომერციულ საიდუმლოებებს, წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებსაც, სწორედ ამიტომ მმართველური აღრიცხვის ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. ბუღალტრული დოკუმენტების შემოწმებას ემსახურება შიდა და გარე აუდიტი. აუდიტორული შემოწმების ბოლოს შემმოწმებლის მიერ ფორმდება დასკვნის აქტი. **აუდიტორული დასკვნა შეიძლება იყოს ოთხი სახის**: 1. დადებითი დასკვნა; 2. პირობითი დადებითი დასკვნა (გარღვევებზე დგება აქტი და ეძლევა მითითება გამოსწორების შესახებ); 3. უარყოფითი დასკვნა; 4. არ ეძლევა დასკვნა (შეიძლება საწარმოს ყველაფერი კარგად ჰქონდეს, მაგრამ ფილიალები გააჩნდეს საზღვარგარეთ, რომლებიც დიდად განსაზღვრავენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ ვერ ხერხდება მათი შემოწმება).

სამამულო საწარმოების ერთი ნაწილი ბუღალტრულ აღრიცხვას მხოლოდ საგადასახადო ინსპექციისათვის აწარმოებს. ისინი ცდილობენ ხარჯები ხელოვნურად გაბერონ, რომ მოგებიდან გადასახადი შემცირდეს. მაგრამ ამ საწარმოებს მცირე მომგებიანობის გამო საჭიროების შემთვხვევაში ბანკი კრედიტს აღარ აძლევს.

დაბეგვრა საწარმოს მომავალი სტაბილური განვითარებას და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების პირნათლად შესრულებას გულისხმობს. **ამჟამინდელი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია ოთხი სახელმწიფოებრივი:** მოგების გადასახადი (15%); დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი (დღგ 18%); საშემოსავლო გადასახადი (20%); აქციზი და **ერთი ადგილობრივი გადასახადი**: ქონების გადასახადი. და ბოლოს, სახელმწიფომ ჯერ მომგებიანი ანუ სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემო უნდა შექმნას და მერე იფიქროს დაბეგვრაზე, ვინაიდან თუ მოგება (შემოსავალი) არ იქნა, არც გადასახადს ექნება ადგილი. სახელმწიფო პირდაპირ გადასახადის აკრეფაზე არ უნდა გადავიდეს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არც თუ იშვიათად გადასახადი რძის საწველი აპრატის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე მართვის აღვირის ფუნქციას.

კითხვები აუდიტორიაში განხილვისათვის და შემოწმებისათვის

1. რომელია ფულად საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ყველაზე რაციონალური წესი?
2. რას ემსახურება ფინანსური მენეჯმენტი ?

3. რა არის „ნუსხა“ და რა როლს თამაშობს იგი ბანკისაგან კრედიტის აღებაში?
4. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ბიზნესის დაფინანსების შიდა წყაროები.
5. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ბიზნესის დაფინანსების გარე წყაროები.
6. რითი განსხვავდება ერთმანეთისგან გარკვეული ვადით აღებული სესხი და სააქციო კაპიტალი, (საინვესტიციო) კაპიტალი?
7. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რას მოითხოვენ ბანკები კრედიტის გაცემისათვის მსესხებელი მეწარმისაგან?
8. დაახასიათეთ დაკრედიტების მექანიზმი ეტაპების მიხედვით.

9. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ფირმის ფინანსურ–ეკონომიური მდგომარეობის მაჩვენებლები
10. როგორ ხდება საწარმოს უზარალობის დონის განსაზღვრა?
11. ვინ არიან ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების მომხმარებლები?
12. რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს ბუღალტრული აღრიცხვის საუკეთესო სისტემა?
13. რა ელემენტები მოიაზრება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის საბოლოო პროდუქტში და რას ასახავს თითოეული?
14. რა განსხვავებაა ფინანსურ და მმართველურ აღრიცხვას შორის?
15. აუდიტორული შემოწმება რითი განსხვავდება სოციალისტური რევიზიისაგან და მის საფუძველზე რამდენი სახის დასკვნა დგება?
16. რა თავისებურებებით ხასიათდება ბიზნესის საგადასახადო და საბაჟო დაბეგვრა საქართველოში?
17. განმარტეთ ცნებები: ოვერდრაფტი, ლიზინგი, ფაქტორინგი, კონტოკორენტი, საკრედიტო ხაზი, იპოთეკური და სალომბარდო კრედიტი.

შესარჩევი შეკითხვები : სვეტის ყოველ ტერმინს შეუსაბამეთ განმარტება სვეტიდან

სვეტი	**სვეტი**
1. ბიზნესის დაფინანსება	ა. ბანკის მიერ გაცემული სესხი გარკვეული ვადით
2. ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები	ბ. დღევანდელი ნავაჭრის საფასურის მომავალში გადახდა
3. ბიზნესის ფინანსური უზრანველყოფის შიდა წყაროები	გ. მოგების ნაწილი, რომელიც ისევ საქმეში ბრუნდება(რეინვესტირება)
4. ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის გარე წყაროები	დ. ფირმის მაღალ შემოსავლებსა და დაბალ ხარჯებს შორის სხვაობა
5. მოგება	ე. ფირმის საკუთრებაში არსებული ფასეულობანი
6. გაუნაწილებელ	ვ. ფირმისგრძელვადიანი

ი მოგება		და მოკლევადიანი ვალდებულებანი (მოზიდული სახსრები) და საკუთარი კაპიტალი
7. ეფექტიანობა	ფაქტორული	ზ. ფირმის საბრუნავი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ფარდობა
8. ეფექტიანობა	საერთო	თ. სწრაფად რეალიზებადი მაღალლიკვიდური აქტივებისა და მაკლევადიანი ვალდებულებების ფარდობა
9. ფონდი	ამორტიზაციის	ი. დაბანდებული კაპიტალის უკან ამოგების ვადის მაჩვენებელი
10. მდგრადობა	ფირმის	კ. ფირმის აქტივების ფულად გადაქცევა სწრაფად და უდანაკარგად
11. კოფიციენტი	ვადიანობის	ლ. წარმოების შედეგის ფარდობა წარმოების შედეგის ერთ რომელიმე ფაქტორთან
12. მაჩვენებელი	გამოსყიდვის	მ. წარმოების შედეგის და ხარჯების პროცენტული ფარდობა
13. კოფიციენტი	დაფარვის	ნ. ძირითადი კაპიტალის ცვეთისა და შეცვლის ასანაზღაურებელი სახსრები
14. ლიკვიდობა	აქტივების	ო. საკუთარი საშუალებებისა და ნასესხი სახსრების ფარდობა
15.	აქტივები	პ. შიდა და გარე
16.	პასივები	ჟ. სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებისა და ზრდა განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა
17. კრედიტი	საბანკო	რ. გაუნაწილებელი მოგება, ამორტიზაციის ფონდი, ქონების რეალიზაციიდან და გაიჯარებიდან შემოსავალი
18. კრედიტი	სავაჭრო	ს. კრედიტი, უნაცვალგებო დაფინანსება, აქციების ემისია

გაარკვიეთ, ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი (ს) და რომელი არა (ა):

–1.სამეწარმეო საქმიანობის მიზანი და მიზნის მიღწევის საშუალება ფულია.
–2.გრძელვადიანი საფინანსო რესურსები საჭიროა მიმდინარე ოპერაციების განსახორციელებლად და დაკავშირებულია საბრუნავი საშუალებების ხარჯებთან.
–3.კრედიტის ამოსავალი პრინციპია დაბრუნებადობა.
–4.საიპოთეკო და სალომბარდო კრედიტი უზრუნველყოფილი კრედიტის სახეობებია.
–5.არსებობს სესხის დაბრუნების ერთადერთი წყარო –ფირმის შემოსავალი.
–6.კომერციული კრედიტის პროცენტი ნაკლები უნდა იყოს საბანკო კრედიტზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ფირმა ამჯობინებს ფულადი კრედიტის აღებას.
–7.პრივილეგირებული აქციები მათ მფლობელებს აძლევს დივიდენდის მიღებისა და კორპორაციის მართვის უფლებას.
–8.ობლიგაციის მყიდველი თანამესაკუთრე კი არ ხდება, არამედ აქციონერულ საზოგადოებას სესხს აძლევს და გამოდის კრედიტორის როლში.
–9.შრომის მწარმოებლურობა შრომის უკუგების მაჩვენებელია.
–10.ფირმის პასივები ტოლია აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამისა.
–11.უნაცვალგებო დაფინანსება არის შემოწირულობებსა და სუბსიდიებზე დაფუძნებული დაფინანსება.
–12.წარმოების ეფექტიანობას მომგებიანობა უკეთ ახასიათებს, ვიდრე რენტაბელობა (საერთო ეფექტიანობა).

ტესტები

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი (ვარიანტები)

1. **დროის გარკვეულ მომენტში ფირმის ფინანსურ–ეკონომიკური მდგომარეობის ერთ–ერთი ყველაზე ეფექტიანი შემფასებელია:**

ა. მოგება–ზარალის ანგარიში;
ბ. ბალანსი;
გ. საწესდებო კაპიტალი.

2. ფირმის აქტივები არის:

ა. ფირმის კუთვნილი ფულადი და მატერიალური და არამატერიალური ფასეულობანი;
ბ. ფირმის საკუთარი კაპიტალი;
გ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

3. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის შიგა წყარო?

ა. ბანკისაგან აღებული სესხი;
ბ. გაუნაწილებელი მოგება;
გ. ამორტისაციის ფონდი;
დ. ქონების რეალიზებიდან და გაიჯარებიდან შემოსავალი;

4. ვადიანობის კოეფიციენტი არის:

ა. დაბანდებული კაპიტალის უკან ამოგების ვადის მაჩვენებელი;
ბ. სწრაფად რეალიზებადი მაღალლიკვიდური აქტივებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ფარდობა;
გ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

5. ფირმის მდგრადობის, საიმედოობის მაჩვენებელი არის:

ა. წარმოების შედეგების ფარდობა ზარალთან;
ბ. საკუთარი საშუალებებისა და ნასესხი სახსრების ფარდობა;
გ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

6. რა შემთხვევაში მიმართავს ფირმა საბანკო კრედიტის აღებას?

ა. როცა სავაჭრო კრედიტის პროცენტი ნაკლებია საბანკო კრედიტის პროცენტზე;
ბ. როცა სავაჭრო კრედიტის პროცენტი მეტია საბანკო კრედიტის პროცენტზე;
გ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

7. ჩამოთვლილთაგან რომელია ადგილობრივი გადასახადები?

ა. მოგების გადასახადი;
ბ. საშემოსავლო გადასახადი;
გ. ქონების გადასახადი;
დ. სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

8. მმართველობითი აღრიცხვის მონაცემები:

ა. საჯარო მონაცემებია, რომელიც არ ხსნის საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას;
ბ. გათვალისწინებულია შიდა გამოსაყენებლად და არის კონფიდენციალური ხასიათის;
გ. გათვალისწინებულია სტატისტიკის დეპარტამენტისათვის.

9. საწარმოში ფულადი საშუალებების მოდინებისა და გადინების პროგნოზს ახდენს:

ა. ბალანსი

ბ. მოგება–ზარალის ანგარიში

გ. საკასო ბიუჯეტი

10. რა ეწოდება იმ რესურსს, რომელსაც მეწარმე იყენებს ერთ წელზე მეტ ხანს?

ა. ძიტითადი კაპიტალი;

ბ. საბრუნავი კაპიტალი;

გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

გამლიერებული პრაქტიკუმი!

შემოხაზეთ ერთადერთი სწორი ვარიანტი

1) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის გარე ბუღალტრის ფუნქცია?

1. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ანუ დამოუკიდებელი ანალიზი;
2. კონსალტინგი.;
3. კერძო პირების ფინანსური დაგეგმვა;
4. შინა რევიზია.

2) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში გვიჩვენებს:

1. რამდენად მომგებიანად მუშაობს საწარმო;
2. არის თუ არა საწარმო მდგრადი;
3. როგორია საწარმოს საბალანსო ღირებულება;
4. საწარმოს უნარს განახორციელოს თავისი მიმდინარე გადახდები.

3) საექსპლოატაციო ანუ ოპერაციულ ხარჯებში არ შედის:

1. ადმინისტრაციული აპარატის ხელფასი და ხარჯები რეკლამაზე;
2. მომარაგების ხარჯები;
3.ამორტიზაციის ხარჯები;
4. ნედლეულისა და მასალების ხარჯები.

4) მიმდინარე ლიკვიდურ აქტივებს არ მიეკუთვნება:

1. ფული სალაროში;
2. მოკლევადიანი დაბანდებანი აქციებში;
3.სავაჭრო ნიშანი**;**
4. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

5) გაუნაწილებელი მოგების გაანგარიშების ფორმულაა:

1. საერთო მოგებას–დივიდენდები და რეზერვები;
2. წმინდა მოგებას– დივიდენდები და რეზერვები;
3. საერთო მოგებას–კრედიტზე პროცენტი;
4. დასაბეგრი მოგება–გადსახადები.

6) საწარმოს არახელშესახები აქტივია:

1. მოგება;
2. აქტივები გრძელვადიანი გამოყენებისათვის;

3. საწარმოს რეპუტაციის ღირებულებითი ეკვივალენტი;
4. აქტივები მოკლევადიანი გამოყენებისათვის.

7) რომელი არ მიეკუთვნება საწარმოს გრძელვადიან ვალდებულებას:

1. სააქციო კაპიტალი;
2. ხელშეკრულება ქონების გირაოს შესახებ;
3. გრძელვადიანი საბანკო კრედიტები;
4. საიჯარო ხელშეკრულება.

8) ფირმის საკუთარ კაპიტალში არ შედის:

1. სარეზერვო კაპიტალი;
2. გაუნაწილებელი მოგება;
3. მესაკუთრეთა წილი საწარმოში;
4. მიმოქცევაში გაშვებული ობლიგაციების ღირებულება.

9) საწარმოს ამონაგებმა შეადგინა 100 ათასი ლარი; წარმოების ხარჯებმა-90 ათასი ლარი. ასეთ პირობებში გაყიდვების რენტაბელობა ტოლი იქნება:

1. 20%;
2. 10%
3. 20%
4. 7%

10) ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეთ ფირმის ლიკვიდურობის ნორმა: ნაღდი ფული-500 ათასი; მოკლევადიანი ვალდებულება-1 000 ათასი; მოკლევადიანი დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში-200 ათასი; გრძელვადიანი ვალდებულებანი-1 000 ათასი; დებიტორული დავალიანება- 300 ათასი; მატერიალური მარაგები-100 ათასი; მოწყობილობანი-1 000 ათასი; არამატერიალური აქტივები-200 ათასი.

1. 3;
2. 2;
3. 1;
4. 0,5.

11) ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეთ ფირმის დამოუკიდებლობის მაჩვენებელი (ხარისხი): ნაღდი ფული-200 ათასი; მოკლევადიანი ვალდებულება--500 ათასი; გრძელვადიანი ვალდებულებანი 1 000 ათასი; მატერიალური მარაგები 300 ათასი; მოწყობილობანი-1 000 ათასი; არამატერიალური აქტივები-500ათასი.

1. 0,25;
2. 2;
3. 1;
4. 0, 5.

12) ფირმის ბალანსის აქტივების შეფასებისაგან ფირმის საბაზრო ღირებულების გადახრა დაკავშირებულია:

1. ბალანსში არამატერიალური აქტივების არასრულ ასახვასთან;
2. არახელშესახები აქტივების მნიშვნელოვან სიდიდესთან;
3. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სუბიექტების მოლოდინთან;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთან.

13) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ არის სწორი:

1. ბუღალტრული აღრიცხვა მენეჯერებს ინფორმაციით უზრუნველყოფს კომპანიის მართვაში, დაგეგმვაში, ორგანიზებაში, მოტივირებაში და კონტროლში არსებული პრობლემების დადგენასა და გადაწყვეტაში;
2. ბუღალტრული აღრიცხვა გარემოცვას (აქციონერებს-ინვესტიორებს, კრედიტორებს, მომწოდებლებს, სახელმწიფო ორგანოებს და სხვას) ინფორმაციულ დახმარებას უწევს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრაში.
3. საბუღალტრო აღრიცხვის გზით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება გარე და შიდა მომხმარებლის მიერ.
4. ინფორმაციის შიდა მომხმარებლები არიან: კრედიტორები (საფინანსო ორგანიზაციები, ბანკები და სხვა); ინვესტიორები (აქციონერები); სახელმწიფო ორგანოები, მომხმარებლები.

14) საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა დროის მოცემულ პერიოდში (ერთ თვეში, ერთ კვარტალში ან წელიწადში) არის:

1. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში;
2. საბალანსო ანგარიში;
3.მოგება-ზარალის ანგარიში;
4. საცდელი ბალანსი.

15) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ არის სწორი:

1.გაყიდვების წმინდა მოცულობა=გაყიდვების ჯამურ მოცულობას–საქონლის დანაკარგები–დაბრუნების ხარჯები–ფასდაკლება;
2. საერთო მოგება=გაყიდვების წმინდა მოცულობას–გაყიდული საქონლის თვითღირებულება.
3. პროდუქციის წარმოების ხარჯები=თვითღირებულება+ამორტიზაცია;
4.გაყიდვების წმინდა მოცულობა=გაყიდვების ჯამურ მოცულობას–საქონლის დანაკარგები–დაბრუნების ხარჯები–ფასდაკლება + საექსპლოატაციო ხარჯები;

16) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის ბუღალტრული არღიცხვის ძირითადი პრინციპი:

1. ფირმის თვითდაფინანსება;
2. საწარმოს მომგებიანობა;
3. საწარმოს რენტაბელობა;
4. საბალანსო მეთოდი და ორმაგი ჩაწერა.

17) აუდიტორული დასკვნა შეიძლება იყოს:

1. ოთხი სახის;
2. სამი სახის;
3. ორი სახის;
4, ექვსი სახის.

18) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადი?

1. მოგების გადასახადი;
2. ქონების გადასახადი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი;
4. საშემოსავლო გადასახადი.

19) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის ადგილობრივი გადასახადი

1. მოგების გადასახადი;
2. ქონების გადასახადი;

3. საშემოსავლო გადასახადი;
4. დამატებული ღირებულების გადასახადი.

20) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არის მცდარი?

1. საქართველოში მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს;
2. საქართველოში დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი (დღგ) შეადგენს 18%-ს;
3. საქართველოში საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 20%-ს;
4. საქართველოში ქონების გადასახადი შეადგენს 15%-ს.

21) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მცდარი?

1. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის წილს სააქციო საზოგადოებაში;
2. აქციაზე აღნიშნული თანხა არის მისი ნომინალური ღირებულება;
3. იმ ფასს, რომლითაც აქციას ყიდიან და ყიდულობენ საფონდო ბირჟაზე, აქციის კურსი ეწოდება.
4. ჩვეულებრივი აქციაზე დივიდენდი წინასწარ დგინდება და გარანტირდება;

22) ბალანსში აქტივები ტოლი უნდა იყოს

1. ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამისა;
2.ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სხვაობისა;
3.ორივე პასუხი სწორია.

23) აქციონერული კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება(მოგება დივიდენდების გადახდის შემდეგ) არის:

1. საკუთარი კაპიტალი;
2. ნასესხი კაპიტალი;
3.ორივე პასუხი სწორია.

24) ეკონომიკური რესურსების ზრდა აისახება:

1. დებეტში;
2.კრედიტში;
3. ორივე პასუხი სწორია.

25) ეკონომიკური რესურსების შემცირება აისახება:

1.დებეტში;
2.კრედიტში;
3.რცერთი პასუხი სწორი არ არის.

26) საკუთარი კაპიტალის ზრდა აისახება;

1.დებეტში;
2.კრედიტში;
3.ორივე პასუხი სწორია.

27) ვალდებულებების ზრდა აისახება;

1. დებეტში;
2.კრედიტში;
3.ორივე პასუხი სწორია.

28) ფირმის შემოსავლების ზრდა აისახება:

1.დებეტში;
2.კრედიტში;
3. ორივე პასუხი სწორია.

29) აქტიურ ანგარიშებში ზრდა იწერება;

1.კრედიტში;
2.დებეტში;
3.ორივე პასუხი სწორია.

30) ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი დებულებაა მცდარი:

1. მომხმარებლების ინტერესებშია საქონლის ფართო ასორტიმენტი, მაღალი ხარისხი და დაბალი ფასი, მომსახურების მაღალი დონე;

2.მეწარმეების ინტერესებშია მუდმივი და მყარი შემოსავლის (მოგების) მიღება და კაპიტალის (საკუთრების) გაზრდა;

3.დაქირავებული მუშაკების ინტერესებშია მაღალი ხელფასი, სამუშაო ადგილის საიმედოობა, შრომის ნორმალური პირობები და სოციალური დაცვის მაღალი დონე;

4.კრედიტორების ინტერესებშია დაბალი პროცენტი და კრედიტის დაბრუნების არა გარანტირებულობა.

31)ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი დებულებაა სწორი?

1.გუდვილი არის ფირმის პრესტიჟი, რომელიც წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი ფირმის საფასურად გადაიხდის იმაზე მეტს, ვიდრე ფირმის აქტივების საბალანსო ღირებულებაა;

2.გუდვილი არის ფირმის აქტივი, რომელიც არ ექვემდებარება მატერიალურ განზომილებას. მაგალითად, რეპუტაცია, იმიჯი, ტექნიკური კომპეტენციები, კავშირები, მარკეტინგული ხერხები, ადგილმდებარეობა და სხვა;

3.გუდვილი არის ფირმის საქმიანი რეპუტაცია, საწარმოს არამატერიალური აქტივების ნაწილი, განპირობებული კეთილი რეპუტაციით, საქმიანი კავშირებით, ფირმის სახელწოდების ცნობადობით, საფირმო მართვით (ბრენდით). გუდვილი წარმოიშობა მაშინ, როდესაც საწარმო მოცემული სექტორის საშუალო დონეზე გადაჭარბებულ სტაბილურ მოგებას ღებულობს;

4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

სავარჯიშოები

№1. ქვემოთ მოცემული საბალანსო მუხლები დაალაგეთ ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით:

1.სალაროს ანგარიში;
2.ავტომანქანა;
3.დებიტორული დავალიანება;
4.საქონელი;
5.ფული საბანკო ანგარიშზე;
6.მზა პროდუქცია.

№2.კითხვის ნიშნების სანაცვლოდ ჩაწერეთ შესაბამისი თანხები. გამოიყენეთ ფორმულა: აქტივები=ვალდებულებები+საკუთარი კაპიტალი

აქტივები	**ვალდებულებები**	**საკუთარი კაპიტალი**
12 500	1 800	???
28 000	4 900	???
16 800	???	12 500
19 600	???	16 450
???	6 300	19 200
???	11 650	39 750

№3.დაალაგეთ მუხლები აქტივებად და ვალდებულებებად

1.სატრანსპორტო საშუალება
2.შენობა
3.სავაჭრო კრედიტორი
4.მარაგები
5.მოთხოვნები
6.ბანკის სესხი
7.ფული სალაროში
8.მოწყობილობა

№4. ნახეთ შეცდომა!

აქტივები	**ვალდებულებები**
1.სესხი სხვა საწარმოსაგან	1.მარაგები
2.ფული სალაროში	2.მოთხოვნები
3.მოწყობილობა	3.ბანკის სესხი
4.კრდიტები	
5.სათვასოები	

ამოცანა

№1.გიორგის ავტოსამრეცხაოს მონაცემები 2012 წლის 31 დეკემბრისათვის:

დებიტორული დავალიანება	800
გადასახდელი ხელფასი	3 000
გიორგის კაპიტალი	44 000
კრედიტორული ანგარიშები	9 000
კრედიტორული თამასუქები	49 000
მანქანა დანადგარები	25 000
მარაგები	400
მიწა	40 000
ფული	???
შენობა	35 000

გამოთვალეთ ფულის სიდიდე და 2012 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინეთ საბალანსო უწყისი

№2. ქვემოთ მოცემულია ნინო ჩხობაძის ფირმის სააღრიცხვო მონაცემები 2012 წლის 31 დეკემბრისათვის

მიწა	325 000
შენობა	43 500

კრედიტორული თამასუქი	295 000
დებიტორული ანგარიშები	12 425
კრედიტორული ანგარიშები	42 425
ოფისის მოწყობილობა	11 180
ფული	9 100
ნინო ჩხობაძის კაპიტალი	???
გადასახდელი ხელფასი	1 020

დავალება: მოამზადეთ ნინო ჩხობაძის ფირმის საბალანსო უწყისი

ამოცანა

1. გაიცა 200 მლნ. ლარის კრედიტი 6 თვის ვადით წლიური 100%-იანი განაკვეთით. გაიანგარიშეთ დარიცხული პროცენტის თანხა.
2. გაიცა 200 მლნ. ლარის კრედიტი 9 თვის ვადით წლიური 100%-იანი განაკვეთით. გაიანგარიშეთ დარიცხული პროცენტის თანხა.
3.საწარმოში დამონტაჟებულია 200 დაზგა, თითოეული 10 000 ლარის ღირებულების. მათი მომსახურების ვადა 10 წელია. იპოვეთ გამოყენებული და მოხმარებული კაპიტალი ერთ წელიწადში
4.კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს-250 000ლარს. მოგება, რომელიც ექვემდებარება აქციონერებს შორის განაწილებას შეადგენს 29 000 ლარს. გამოშვებულია 4000 აქცია. ბანკი ანაბარზე იხდის 12 პროცენტს. ა) რას უდრის აქციის ნომინალური ღირებულება? ბ) რას უდრის დივიდენდის მოსალოდნელი სიდიდე? გ)რისი ტოლია აქციის მოსალოდნელი კურსი? დ)რისი ტოლი იქნება სადამფუძნებლო მოგება აქციების 85%-ის გაყიდვის შემდეგ?
5. ცნობილია შემდეგი მონაცემები: ფიქსირებული ხარჯები შეადგენს 60000 ლარს; გასაყიდი ფასი 2 ლარია; ცვალებადი ხარჯი ერთეულ პროდუქტზე არის 0,80 ლარი. გამოითვალეთ ნულოვანი მოგების წერტილი:

პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი

სად შეეშალა ქეთრინს?

ქეტრინ ოკონორს ყოველთვის შეეძლო გაერჩია კარგი ნივთი ცუდისაგან. ყოველ შემთხვევაში თავიდან ეს ასე ჩანდა. ქეთრინი ხშირად მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მან იტალიაში აღმოაჩინა პატარა მაღაზიები, რომლებიც ვაჭრობდნენ თიხისა და ფაიფურის ნაწარმით, დაწყებული საფერფლეებით და დამთავრებული ჭურჭლით. ზოგიერთი ნაწარმი შესრულების მხრივ მართლაც უმაღლესი ხარისხის იყო.

ქეთრინმა დაიწყო ამ ნაწარმის იმპორტირება აშშ-ში. მყიდველებმა უმალ შეაფასეს საქონლის ხარისხი და მზად იყვნენ მასში საკმაოდ მაღალი ფასი გადაეხადათ. ქეთრინმა გადაწყვიტა ფასები დაეტოვებინა საშუალო დონეზე, რათა ბიზნესს სწრაფი ზრდის საშუალება მისცემოდა. პირველ ორ თვესთან შედარებით, შემდგომ სამ თვეში რეალიზაცია ორჯერ გაიზარდა. პირველ წელთან შედარებით, მეორე წელს რეალიზაცია გაორმაგდა.

რამდენიმე თვეში ერთხელ ქეთრინს უხდებოდა ბანკში სესხის აღება. იგი უპრობლემოდ იღებდა სოლიდურ თანხებს კრედიტის სახით, რადგან ის

ყოველთვის თავის დროზე აბრუნებდა მას. საქონლის შესაძენი თანხების რაოდენობის შესამცირებლად ქეთრინი ყოველთვის იყენებდა სავაჭრო შეღავათებს, რაც იმაში გამოხატებოდა, რომ იგი სავაჭრო ვალდებულებებს ფარავდა არა უგვიანეს ათი დღისა. ამით ის ინარჩუნებდა თავისთვის 20% ფასდაკლებას, რომელსაც სთავაზობდნენ მომწოდებლები სწრაფი გადახდის შემთხვევაში.

თავის მხრივ, მყიდველების უმრავლესობა საქონელს ქეთრინთან ყიდულობდა კრედიტში. მაგალითად, ისინი ყიდულობდნენ წყვილ ლანგარსა და ქოთანს, ხოლო ქეთრინი საშუალებას აძლევდა მათ, ფული გადაეხადათ გარკვეული დროის შემდეგ. ზოგიერთი მყიდველი არ ჩქარობდა ფულის გადახდას და წელავდა ამ პროცესს ნახევარი წლითა და მეტით.

სამი წლის შემდეგ ქეთრინმა შეამჩნია, რომ მისი ფირმის საქმეები უფრო ცუდად წავიდა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ადგილობრივი ეკონომიკაც განიცდიდა კრიზისს, რის გამოც ბევრი ადამიანი დარჩა უმუშევარი. მიუხედავად ამისა, ქეთრინის ბიზნესი, შეიძლება ითქვას, მაინც რჩებოდა დამაკმაყოფილებელ, ღირსეულ დონეზე. ერთ მშვენიერ დღეს, მას დაურეკეს ბანკიდან და შეახსენეს, რომ ის აგვიანებდა სესხის დაბრუნებას. ქეთრინი იმდენად იყო დაკავებული, რომ არ მიაქცია ყურადღება ანგარიშებს და აღმოაჩინა შემდეგი პრობლემა – მას, უბრალოდ, არ ჰქონდა ნაღდი ფული, რათა ბანკის ვალი გადაეხადა. მან დაიწყო რეკვა მყიდველებთან სთხოვდა, გადაეხადათ ფული, მაგრამ ისინიც იმ პერიოდში გადახდის უუნარონი აღმოჩნდნენ. ქეთრინი აღმოჩნდაკაპიტალის მოძრაობისკლასიკურ შეკრულ წრეში. მან გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეზარდა ფასები და უარი განაცხადა კრედიტში ვაჭრობაზე. ქეთრინმა დაიწყო მომწოდებლების ანგარიშების განაღდების გადავადება, რამაც ავტომატურად გამოიწვია საქონლის შეძენის ღირებულების ზრდა. ამის შემდეგ, მან მიმართა ბანკს თხოვნით, რათა მასთან ერთად გაეკეთებინათ მისი ფირმის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. ბანკის სპეციალისტმა გააკეთა ქეთრინის ყველა ვალდებულებისა და აქტივების ანალიზი. ამის შემდეგ მან შეადგინა სალაროს ნუსხა და ბანკი დათანხმდა ქეთრინისათვის მიეცა მცირე სესხი. ყველაფერი ამის შემდეგ ქეთრინის ფირმის საიმპორტო მოღვაწეობა ვითარდებოდა წინანდელთან შედარებით გაცილებით ნელა, მაგრამ ამის საპირისპიროდ მისი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. შეიძლება ითქვას, რომ ქეთრინი თითქმის გაკოტრდა და გადარჩა მხოლოდ ბოლო მომენტში.

<u>კითხვები გადაწყვეტილების მისაღებად:</u>

1. რით შეიძლება ავხსნათ, რომ ფირმას შეიძლება ჰქონდეს მაღალი ამონაგები გაყიდვიდან და მაღალი მოგება და, მიუხედავად ამისა, არ გააჩნდეს ნაღდი ფული (ფული ანგარიშზე)?
2. რატომ წავიდა ქეთრინის საქმეები უფრო კარგად, როდესაც მან აწია ფასები და უარი განაცხადა კრედიტში ვაჭრობაზე?
3. რაში მდგომარეობდა ქეთრინის პრობლემების არსი? სწორედ მოიქცა თუ არა იგი, როდესაც მან მიმართა ბანკს დახმარებისათვის, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მას ამ ბანკის ფული მართებდა?

წყარო: ბიზნესი. რევაზ ვაჩნაძე, გიორგი თურქია, პაატა ლომსაძე. თბ. 2005წ. გვ 62-63.